ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №36, ნოემბერი, 2016 წელი

ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით

ოთხარის გამოქვაბულები (გუდაუთის რაიონი), რომლებშიც შუასაუკუნეებში მონასტერი იყო გვ.7

აფხაზეთის კაპელა ბელგიის საკათედრო ტაძარში წარმატებით გამოვიდა

გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ბელგიის სამეფოში, ბრიუსელის წმინდა მიქაელის და გუდულას სახელობის საკათედრო ტაძარში გამართულ კლასიკური მუსიკის კონცერტში მონაწილეობდა. კონცერტის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საელჩო და „ტაძრის სამეგობრო ფონდი“, რომელიც ბელგიის მეფის ბოდუენის ფონდის (King Baudoin Foundation) წევრია.

გაგრძელება გვ. 2

ზვიად ბოლქვაძე: ვეცდები, ის მარგალიტები, რაც აფხაზეთის კაპელას გააჩნია, კიდევ უფრო გამრავლდეს

გვ.3



კრებულის – „დიმიტრი ჯაიანი“ – წარდგინება

გვ.5

ნოდარ ტაბიძე „გალაკტიონი და აფხაზეთი“

გვ.6

დებიუტი

გიორგი ესებუა

გვ.9

აფხაზეთის ჯაჭვლა ბელგიის საკათედრო ტაძარში წარმატებით გამოვიდა

ნატო კორსანტია

დასაწყისი პირველ გვერდზე

აფხაზეთის საგუნდო კაპელა ამ კონცერტზე ბელგიელი მუსიკოსისა და დირიჟორის მარიან მიტეას მიწვევით გაემგზავრა. ეს იმ საერთაშორისო აღიარების გაგრძელებაა, რასაც აფხაზეთის კაპელამ მისი შემქნელის გურამ ყურაშვილის სიცოცხლეშივე მიაღწია. აფხაზეთის კაპელამ კონცერტზე ბელგიის სამმარტინის (Le Sammartini choeur & orchestre) გუნდთან ერთად შეასრულა შუბერტის უდიდესი ნაწარმოები - E flat Mass D 950,5 სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისთვის. შუბერტის მესა კაპელამ საგანგებოდ ამ კონცერტისთვის მოამზადა მისი ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ზვიად ბოლქვაძის დირიჟორობით.

ბრიუსელის საკათედრო ტაძარში გამართული კლასიკური მუსიკის კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ამ ტაძრის ისტორიული ვიტრაჟებიდან ერთ-ერთის - „განკითხვის დღის“ რეაბილიტაციას. საგულისხმოა, რომ საქართველო აფხაზეთის კაპელის სახით ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის - მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა-შენარჩუნების პროცესის მონაწილე გახდა.

ბრიუსელის საკათედრო ტაძარი აშენებულია 1226-1519 წ.წ. და წარმოადგენს გოთიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს. საყოველთაოდ ცნობილია მისი ვიტრაჟები, რომლებსაც გამორჩეული ოსტატები XVI-XIX საუკუნეებში ქმნიდნენ. ამ ტაძარში საგუნდო მუსიკის კონცერტების გამართვას 2003 წლიდან ჩაეყარა საფუძველი და იგი ტრადიციულად ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. კონცერტს კლასიკური მუსიკის მოყვარულებთან ერთად ბრიუსელში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ევროკავშირის ინსტიტუტების და ბელგიის სამეფოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საგუნდო კაპელას ბრიუსელის ვოლუვე სენ პიერის მერიამ უმასპინძლა. გუნდის წევრებს შეხვდა ვოლუვე სენ პიერის მერი ბენუა კორექსი, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ქართული კაპელას მონაწილეობა ბრიუსელის კულტურულ ცხოვრებაში ტრადიციად იქცევა. მერიაში შეკრებილ სტუმრებს საქართველოს ელჩმა ნატალი საბანაძემ სიტყვით მიმართა.

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროპის კულტურული წრეების მხარდაჭერას. ამდენად, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას ზემოთ ხსენებულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კაპელას საქმიანობა, მისი შემოქმედება საერთო-საკაცობრიო კულტურულ ღირებულებებს ეფუძნება და ემსახურება.

ბელგიაში გამგზავრებამდე შუბერტის მესა აფხაზეთის კაპელამ თბილისის ოპერის თეატრში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარმოადგინა. კონცერტი ნიკოლოზ რაჭველისა და ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული და მასში ასევე მონაწილეობდნენ სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი და სოლისტები: გიორგი ცაგარელი (ალტი), ქეთევან ქართველიშვილი (სოპრანო), ირინა შერაზადიშვილი (სოპრანო), მაგდა ჭიჭიაშვილი (მეცო სოპრანო), გიორგი შარვაშიძე (ტენორი), გიორგი ბეროშვილი (ტენორი), გიორგი გოდერძიშვილი (ბანი). კონცერტის ბოლოს კი შესრულდა ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოები: In Memoriam სოლო ალტის, ორკესტრისა და მამაკაცთა გუნდისათვის.

მე-3 გვერდზე გთავაზობთ, აფხაზეთის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ზვიად ბოლქვაძესთან ინტერვიუს პირად და აფხაზეთის კაპელასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

P.S. ბელგიიდან ჩამოსვლის შემდეგ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას წევრებთან და გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელთან შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში გაიმართა.

ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აფხაზეთის საგუნდო კაპელას ბელგიის სამეფოში, ბრიუსელის წმინდა მიქაელის და გუდულას სახელობის საკათედრო ტაძარში გამართულ კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა და წარმატებული გამოსვლა მიულოცა.

შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა(გია) გვაზავა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და აფხაზეთის საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე ესწრებოდნენ.

„ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზი ხალხის გულებისაკენ!“

მაია შონია

27 ოქტომბერს აფხაზური ენის დღის აღსანიშნავად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვ. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში ნინო მიქიაშვილის წიგნის „მერაბ კოსტავა“ წარდგინება გაიმართა. წიგნი ქართულ და აფხაზურ ენებზეა გამოცემული და ის აფხაზურ ენაზე 2016 წელს „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა“ თარგმნა.

ნინო მიქიაშვილის წიგნი „მერაბ კოსტავა“ (მეორე გამოცემა) აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაიბეჭდა. წიგნი ბიოგრაფიული ხასიათისაა და მასში საქართველოს ეროვნული გმირის - მერაბ კოსტავას ცხოვრების (წინაპრები, მოწამეობრივი ცხოვრება, აღსასრული) ამსახველი დოკუმენტური და ფოტო მასალაა წარმოდგენილი. ის თავდაპირველად 2013 წელს დაიბეჭდა ქართულ ენაზე და მისი წარდგინება 2013 წლის 13 ოქტომბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში (იქ, სადაც მერაბ კოსტავა დაიღუპა) შედგა.

წარდგინებას ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია. დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა. მან აფხაზური ენის დაცვის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დამსწრეთ შეახსენა მერაბ კოსტავას სიტყვები: „ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზი ხალხის გულებისაკენ!“. საღამო საერთოდაც ამ სულისკვეთებით წარიმართა. წიგნის ავტორმა ნინო მიქიაშვილმა აღნიშნა: „ამ წიგნის გამოცემით და ამ შეხვედრით გვინდა ვიპოვოთ ჩვენი წილი გზა აფხაზი ხალხის გულებისაკენ“. მერაბ კოსტავას ფასდაუდებელ წვლილზე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მხატვარმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, ენათმეცნიერმა ლევან ღვინჯილიამ, პროფესორმა ვახტანგ ძაბირაძემ, პოეტმა ქეთევან შენგელიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ და სხვ.



დარბაზში საგანგებოდ ამ დღისთვის გამოფენილი იყო აფხაზეთის მხატვრების: ნუგზარ მგალობლიშვილის (მერაბ კოსტავას პორტრეტი), დავით ბაძაღუას, ავთანდილ შენგელიას, ალექსანდრე ხუბუას, ზურაბ ჭედიას, მანონ ბულისკერიას, ელდარ ქავშბაიას, ვალერი ჩარგაზიას და მერაბ ფიფიას ნამუშევრები.

ზვიად ბოლქვაძე:
ვცდილობ, ის მარგალიტში, რაც აფხაზეთის კაპელას გააჩნია, კიდევ უფრო გამრავლდეს

ნატო კორსანტია

- „როგორც მთვარე ზღვას, მუსიკა ადამიანის სულს ნაპირებს ატოვებინებს ხოლმე," - წერს ერთგან მწერალი თამაზ ჭილაძე. ბატონო ზვიად, მერე კი როცა ისევ ნაპირებს უბრუნდებით, არ გიძნელდებათ?

- მე სულ ზღვაში ვარ. ნაპირზე არასოდეს ვბრუნდები. რაც აზროვნება დავიწყე, სულ ზღვაში ვარ, ხანდახან ვიხრჩობი კიდეც.

- და მაინც, უფრო პირდაპირ გკითხავთ, რა არის თქვენთვის მუსიკა, მისი შექმნა შვებაა თუ ტკივილი?

- მუსიკა ჩემთვის არა მარტო ბგერებია, არამედ აზროვნებაა, ურთიერთობაა, საერთოდ, ყველაფერია. მუსიკის შექმნის დროს, თითქოს ხედავ და გრძნობ მთელ სამყაროს, დაბადებას, გარდაცვალებას, აბსოლუტურად ყველა მოვლენას. ამ დროს ზებუნებრივი, რაღაც საოცარი ძალები გმართავს. მე ამის გარეშე არ თუ ვერ ვცხოვრობ. ხანდახან მინდა, ვიყო ამის გარეშე, მაგრამ აღარ გამოდის. რაც შეეხება კითხვას, მუსიკის შექმნა ჩემთვის შვებაა თუ ტკივილი? არ არის შვება, ისევ ტკივილია. შვება აქ, ამ მიწიერ ყოფაში არ არსებობს. შვება მხოლოდ მაშინ მოდის ხანდახან, როცა უფრო მეტია სითბო, სიკეთე, სათნოება, სიყვარული. როცა ეს ყველაფერი ჭარბობს, მაშინ არის შვება.

- ჩვენს ძალიან პროზაულ, პოლიტიკით გადაქანცულ ყოფაში ასე ცხოვრება რთული არ არის?

- ძალიან რთულია. ზოგადად, რა აწერინებს ადამიანს მუსიკას? აწერინებს ის, რომ მის გარშემო, საერთოდ, ამ სამყაროში ამდენი შიმშილი და ავადმყოფობაა, ამდენი შური, მტრობა და გაუტანლობაა, ამდენი გაუგებრობაა, და რომ ამგვარი გაუგებარი ფორმით ვესაუბრებით და ვექცევით ერთმანეთს. ეს სამყაროს ძალიან დიდი პრობლემაა, რასაც მერე გადმოსცემ მუსიკით.

- და ამგვარი ემოციებითა და ტკივლით სავსე ნაწარმოებზე მუშაობის პროცესზე რას იტყოდით?

- მუშაობის პროცესი დაბადებას, მშობიარობას ჰგავს, რის შემდეგაც გრჩება ძალიან დიდი სიცარიელე, გამოფიტულობა. მერე თავიდან იკრებ ძალებს, რომელიც თანდათან აზრებთან ერთად ფორმას იღებს და... ისევ იწყება... ამაზე საუბარი ძალიან რთულია და ჩემგან ძალიან ხმამაღალი იქნება. ჯერ ვფიქრობ, რომ მე, უბრალოდ, ერთი წვეთი ვარ ამ საოცარი სამყაროსი, ამ საოცარი ღვთიური მოვლენის. ჯერ მხოლოდ ახალ ნაბიჯებს ვდგამ. საბოლოოდ, არავინ იცის, რა სახეს მიიღებს ჩემი მუსიკა, მაგრამ ზოგადად თუ მუსიკა ფასეულია, ნამდვილია, ის იღაღადებს როგორც XI, XII, XIII, XIV, XV... ისე XXI საუკუნეშიც. ისინი ყველა საუკუნეში ძალიან ახლოს იქნებიან ერთმანეთთან, იმიტომ რომ ემოციებია ძალიან ახლოს, იმიტომ რომ ნამდვილი მუსიკა ამაღლებულია, რაღაც ღვთიური დაჰკრავს. ღვთის ძალიან დიდი საჩუქარია, რომ ჩვენ - ადამიანებს მოგვცა მუსიკის შეგრძნება და მადლობა უფალს, რომ ცოტად თუ ბევრად, მეც გამხადა ამისი ღირსი.

- თქვენ დირიჟორიც ხართ და კომპოზიტორიც, რამდენად რთულია ან ადვილი მათი შეთავსება?

- როცა დირიჟორიც ხარ, ეს ძალიან კარგი საშუალებაა, გაიზარდო როგორც კომპოზიტორი. მით უმეტეს, თუ მუშაობ იმ დონის კოლექტივთან, რომელიც ყველა სირთულეს უმკლავდება.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, უფრო მეტიც, ჩემი მთავარი ამოცანაა, რომ საგუნდო მუსიკა მსმენელისთვის უფრო აქტუალური და გასაგები გახდეს. მას ყველა ვერ მოისმენს, მომზადებული ყური სჭირდება, ამიტომაც, ვფიქრობ, უფრო ხშირად უნდა ისმოდეს საგუნდო მუსიკა. საქართველოში არ შეიძლება ხმა დაიკარგოს. ჩვენ მომღერალი ერი ვართ და სამყაროს ყველაზე მეტად ამით გავაოცებთ, ამით ყველაზე მეტად მივაწვდენთ ხმას.

ქართული ფოლკლორი რომ საოცარია და ხელშეუხებელი, ყველამ ვიცით. თავის მხრივ საგუნდო მუსიკა არის მასშტაბური, მრავლისმეტყველი, აქ მუსიკალური ფორმები და აზროვნება საზღვრების გარღვევის შესაძლებლობას იძლევა. ამ ჟანრში ბევრი თქვეს ქართველმა კომპოზიტორებმაც. მათგან გამოვყოფდი იოსებ კეჭაყმაძეს, იმიტომ, რომ მან ქართული მუსიკალური ქრესტომათია შექმნა და ძალიან დიდი საგანძური დაგვიტოვა. იმედი მაქვს, რომ ქართული საგუნდო მუსიკა მომავალშიც იმ სიმაღლეზე იქნება, რომელსაც იმსახურებს ქართველი ერი.

- საინტერესოა, რომელი უფრო რთულია, საკუთარი თუ სხვისი ნაწარმოების დირიჟორობა?

- ზოგადად, მუსიკა იმდენად დიდია, რომ ყოველ ბგერას სჭირდება გამართლება, სწორი ინდივიდუალური ხედვა. როდესაც სადირიჟორო სკოლა გავლილი გაქვს, შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, საკუთარ ნაწარმოებს დირიჟორობ თუ სხვისას. ორივეს ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდები. ტექნოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, საკუთარ ნაწარმოებსაც ისევე ვუყურებ, როგორც სხვის ნაწარმოებს. გარდა ამისა, ბევრი სხვა ნიუანსია, რომელიც მუშაობისას იკვეთება. ეს შეიძლება შეადარო პროცესს, როგორ აპირკეთებს ხელოსანი ამა თუ იმ ნაკეთობას ან როგორ მუშაობს მოქანდაკე ქვასთან. ჩვენს შემთხვევაშიც თავიდან ამგვარი უხეში მიდგომებია საჭირო, რათა საბოლოოდ დახვეწილ, ესთეტიურად მაღალ შედეგს მიაღწიო.

უბრალოდ, საკუთარი ნაწარმოების შესრულებისას, უფრო ადვილია მისი ახსნა, გადმოცემა, იმიტომ რომ ეს შენი სათქმელია, შენი სატკივარია. ამ დროს გაცილებით თამამი ხარ. თუმცა, სხვის ნაწარმოებებზეც უნდა გქონდეს საკუთარი აზრი და ხედვა.

- როდესაც ოპერაში სამების ტაძრის სატრიარქო გუნდი ლადო ასათიანის ლექსზე „კრწანისის ყაყაჩოებზე" დაწერილ თქვენს ნაწარმოებს ასრულებდა, რატომღაც მომინდა მომესმინა, ამ მუსიკას სიტყვებით როგორ გადმოსცემდით...

- ლადო ასათიანის ამ ლექსის ყოველი წარმოთქმისას კი არა, წარმოსახვისას თმები ყალყზე მიდგება. ძალიან განვიცდი მის ყოველ სტრიქონს და გადავწყვიტე, მუსიკალურად გადმომეცა ეს ყველაფერი, მათ შორის ძალიან მძიმე შეგრძნებები, რაც ამ საზარელ სურათს ასახავს: ბრძოლის ველი, სადაც უზარმაზარი ტკივილი და საშინელი სანახაობაა; სადაც ამავე დროს უზარმაზარი ვაჟკაცური სული, სამშობლოსადმი სიყვარული სუფევს. ნაწარმოების შუა ნაწილში კიდევ ამ გმირების ცხოვრებაა ასახული, ის სევდა, თუ როგორი დიდი ბედნიერებაა სიცოცხლე... ბოლოში არის დედის და შვილის სახეები და აქ გალაკტიონის ლექსი მოვიშველიე: „ჭკნება ვარდები რგული, ქარი ქანაობს ქნარად, არ გამრთელდება გული, წყნარად, წარსულო, წყნარად"...

- ბატონო ზვიად, რას ნიშნავს თქვენთვის აფხაზეთის კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელად მოსვლა. რა გეგმებს და ჩანაფიქრს უკავშირდება ეს მოვლენა თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

- ვმუშაობ როგორც თანამედროვე სასიმღერო, ისე საგუნდო მუსიკაში. ძირითადად მაინც ჩემი შთაგონება არის საგუნდო მუსიკა. დიდი ბედნიერებაა, რომ აფხაზეთის კაპელასთან - ამ არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად მექნება საშუალება, გავაგრძელო ის დიდი საქმე, მრავალხმიანობას ვგულისხმობ, რომელიც ღირსეულად დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა. შემდეგ კი ასევე მაღალპროფესიულ დონეზე წარმართეს ნიკო სულხანიშვილმა, იოსებ კეჭაყმაძემ, გოგი ჩლაიძემ, ჯემალ ბეგლარიშვილმა და სხვ. საგუნდო მუსიკაში რომ არ ყოფილიყვნენ ეს ადამიანები, ცხადია, არ ვიქნებოდი არც მე. ახლა ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი მამების დანატოვარს და გავაგრძელოთ. მეც მათთან ერთად შევეცდები, თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, საკუთარი სათქმელი ვთქვა და ხელოვნების ამ საკმაოდ რთული სფეროს განვითარებაში ჩემი თუნდაც პატარა წვლილი შევიტანო.

ამასთანავე, აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის დიმიტრი ჯაიანის მიმართ, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს და აფხაზეთის კაპელას ხელმძღვანელის დანიშვნისას არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. ასევე დიდი მადლობა მათ იმისთვის, რომ კაპელას ბელგიაში პრესტიჟულ კონცერტზე გასამგზავრებლად საჭირო თანხის მოსაძიებლად ძალისხმევა არ დაიშურეს.

- აფხაზეთის კაპელა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც ასრულებს. გოგი ჩლაიძემ საკუთრივ მისთვის რამდენიმე სიმღერა დაწერა კიდეც. თქვენ თუ აპირებთ ამ კაპელასთან ერთად თქვენი ნაწარმოებების შერულებას?

- მოვედი თუ არა, უზარმაზარ საქმეს - შუბერტის მესას შევეჭიდეთ. ეს ჩემს მოსვლამდე იყო დაგეგმილი. ევროპულ მუსიკას განსაკუთრებული ცოდნა და მიდგომა სჭირდება. ჩემს ნაწარმოებებს არაერთი კოლექტივი: გორის ქალთა გუნდი, თბილისის კაპელა, სამების გუნდი და ა.შ. ასრულებს. რატომაც არა, თუ ამის საშუალება მომეცემა, ისინი აფხაზეთის კაპელამაც შეასრულოს. ვიფიქრებ იმაზეც, რომ კონკრეტულად ამ გუნდისთვის დავწერო ნაწარმოები, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მე უკვე მეცოდინება კაპელას თითოეული წევრის ბგერა, მუსიკალური გემოვნება, გავიგონებ თითოეული მათგანის სუნთქვას... ამის შემდეგ დავწერ მათთვის და ეს ნაწარმოები იქნება გაცილებით უფრო მეტყველი და გუნდზე მორგებული.

- აფხაზეთის კაპელაზე საუბრისას, მუსიკისმცოდნეები ხაზგასმით მიუთითებენ „გუნდის გამორჩეულ და უაღრესად მოქნილ ჟღერადობაზე, განსაკუთრებულ ბგერაზე", რასაც მისი შემქმნელის - გურამ ყურაშვილის სხვათაგან გამორჩეული ყურით, „მუსიკალური „ფილოსოფიით" ხსნიან. თქვენთვის რამდენად ნიშანდობლივია აფხაზეთის კაპელას ეს თავისებურებები, რამდენად იპოვეთ მასთან რაღაც ნათესაური? რაც მთავარია, რამდენად შეუნარჩუნდება კაპელას გურამ ყურაშვილისეული გამორჩეული ბგერა და ჟღერადობა?

- ჩემთვის და საერთოდ, თითოეული მუსიკოსისთვის, საგუნდო მუსიკის ქომაგისთვის მნიშვნელოვანია ბგერა, თუ საიდან მოდის ის, რა სიღრმეებიდან, როგორი სულიერი მდგომარეობიდან. ბატონ გურამთან დაკავშირებითაც იგივე შემიძლია ვთქვა, მან მოახერხა, რომ თავისი ენერგეტიკული შეხედულებები სწორად მიეტანა მომღერლებთან და სასურველი შედეგი მიიღო კიდეც. მას ჰქონდა ინდივიდუალური ხედვა, რაც უნდა ჰქონდეს ყველა დირიჟორს, ყველა მუსიკოსს, რითაც გამოვირჩევით ადამიანები. მე, რა თქმა უნდა, ვეცდები, ის მარგალიტები, რაც გააჩნია კაპელას, კი არ დაიკარგოს, არამედ გამრავლდეს.

გარდა ამისა, ჩემი მთავარი ამოცანა და სამომავლო გეგმები ამ გუნდთან დაკავშირებით საკმაოდ მასშტაბურია: ძალიან მინდა, შევძლოთ, რომ შევეხოთ ნაწარმოებებს რენესანსის პერიოდიდან მოყოლებული და განვლილი ეტაპები კარგად ესმოდეს გუნდს; ჰქონდეს მრავალფეროვანი რეპერტუარი და ადვილად უღებდეს ალღოს ბაროკოს, რენესანსს, კლასიკას, რომანტიზმს, XX საუკუნისა და თანამედროვე მუსიკას; შევძლოთ ნებისმიერი პერიოდისა და ჟანრის მუსიკა გადმოსცეს გუნდმა ორიგინალურად.

ერთი სიტყვით, სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, რათა ბატონი გურამის დაწყებული საქმე ღირსეულად გაგრძელდეს ახალი ძალებით, ახალი შემართებით, ახალი მუსიკალური მასალით. ჩვენ ასევე ძალიან სერიოზული მუშაობა გვმართებს, რათა ერთი ორგანიზმი გავხდეთ, სხვაგვარად ეს არ მოხდება.

- როგორ ფიქრობთ, შედგა თქვენი და კაპელას წევრების ურთიერთობა? თქვენს შორის სულიერი ძაფები გაიბა?

- ძალიან დიდ პატივს ვცემდი ბატონ გურამს, გული ძალიან მწყდება, რომ ის არ არის ჩვენთან ერთად, ვერ აგრძელებს თავის საყვარელ საქმეს. რა შემიძლია გითხრათ, ის ისეთ სიყვარულს ატარებდა, ისეთი სიყვარული დათესა კაპელაში, რომ ეს ყველაფერში იგრძნობა: ყველანი ძალიან კარგები არიან, უზარმაზარი სითბო აქვთ, უზარმაზარი პასუხისმგებლობა, მიჩვეულები არიან რეჟიმს, მუშაობას, ძალიან უყვართ მუსიკა, პატივს სცემენ წარსულს და მზად არიან იმისთვის, რომ მომავალშიც დიდი წარმატებები ჰქონდეთ, რისთვისაც ენერგიას არ დავიშურებთ. იმედი მაქვს, მოვახერხებთ იმას, რომ საზოგადოებას კიდევ ძალიან სასიამოვნო მუსიკალური საღამოები შევთავაზოთ.

ზვიად ბოლქვაძემ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა პროფესორ შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით. ამჟამად ის ამავე კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის დოქტორანტია. 2003 წლიდან მუშაობს კომპოზიციაში, ასევე სიმფონიური მუსიკის ჟანრში. მის საგუნდო მუსიკას ასრულებენ შერეული და ერთგვაროვანი (ქალთა და მამაკაცთა) გუნდები. 2005 წლიდან ზვიად ბოლქვაძის კომპოზიციებს ასრულებს ნინო ქათამაძე ჯგუფ „ინსაით"-თან ერთად. ზვიად ბოლქვაძემ და ნინო ქათამაძემ 2008 წელს ერთად ჩაწერეს ალბომი „Blue." ზვიად ბოლქვაძე 2007 წლიდან წარმატებით მუშაობს კინომუსიკის ჟანრში. თანამშრომლობს ცნობილ უკრაინელ რეჟისორ საშა კირიენკოსთან. მათ არაერთი ერთობლივი ნამუშევარი აქვთ. მათ შორის ერთ-ერთი ფილმი „Иллузия страха", რომელსაც 2008 წელს მიენიჭა პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისთვის ჰიუსტონის მსოფლიო კინოფესტივალზე, 2009 წელს წარდგენილ იქნა „ოსკარზე" საუკეთესო უცხოური ფილმის სტატუსით. ზვიად ბოლქვაძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საგალობლების საგუნდო და საორკესტრო არანჟირებების ავტორია. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. მუშაობს სამების საკათედრო ტაძრის გუნდთან. გარდა ამისა, სტუდია „ანა-ბანას" ბავშვთა გუნდის ხელმძღვანელია. წლების წინათ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა მისი პირველი საავტორო კონცერტი სიმბოლური სახელწოდებით - „გზა მიდის". გზამ ის ახლახან გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელად მოიყვანა.

აფხაზური ენის დღე აფხაზეთის საჯარო სკოლებში აფხაზურ ენაზე აღნიშნეს

27 ოქტომბერი აფხაზური ენის დღეა. ენისა, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად, მეორე სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით აფხაზეთის საჯარო სკოლებში, სადაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტროს ძალისხმევით, ისწავლება აფხაზური ენა, ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები თემაზე: „აფხაზური ენა და აფხაზეთის ისტორიული ძეგლები“.

მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად ისტორიულ ჭრილში, დისკუსიის ფორმატში, აფხაზურ ენაზე ისაუბრეს აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებზე, კერძოდ, ილორის წმინდა გიორგისა და ბედიის, მოქვისა და ახალი ათონის (ივერიის) ტაძრებზე, დიოსკურიისა და ბზიფის ციხეებზე და, ზოგადად, ქართულ–აფხაზურ ისტორიულ ძეგლებზე, მათ წარსულსა და დღევანდელობაზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს აფხაზური ჩანახატები და წაიკითხეს აფხაზური ლექსები. მათ აფხაზური ენის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს და ასე, საქმით აღნიშნეს ეს დღე. ბოლოს აფხაზეთში მალე დაბრუნების იმედი და მსგავსი დისკუსიებისა და პრეზენტაციების აფხაზ თანატოლებთან ერთად გამართვის სურვილი გამოთქვეს.

აფხაზური ენა და კულტურა ჩვენი ისტორიული ყოფის ნაწილია

ავთანდილ ცქვიტიშვილი *ყოფილი შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი*

აფხაზური ენა იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზ-ადიღეურ ჯგუფს ეკუთვნის. პირველი აფხაზური ანბანი სლავურ-კირილური დამწერლობის საფუძველზე შეიმუშავა ბარონმა პეტერ ფონ უსლარმა, რომელიც 37 ასოსაგან შედგებოდა, მაგრამ იგი არ მოიცავდა ყველა აფხაზურ ბგერას. ამიტომ 1905 წლიდან გრაფიკული ნიშნების რაოდენობა 55 ასომდე გაზარდეს. ცნობილი ენათმეცნიერი ნიკო მარი შეეცადა უფრო სრულყოფილად აესახა აფხაზური მეტყველება. მან ასოთა რაოდენობა, ლათინურ ანბანზე დაყრდნობით, სამოცდათხუთმეტამდე გაზარდა. ცნობილია, რომ აფხაზური ანბანის სრულყოფისათვის სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ენათმეცნიერები: პეტერ ფონ უსლარი, დიმიტრი გულია, კონსტანტინე მაჭავარიანი, ალექსეი ჭოჭუა და ნიკო მარი.

ცხადია, რთულია აფხაზური ენის ფონეტიკა, მაგრამ მარტივი და გასაგებია აფხაზი კაცის სული: აფხაზებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სამშობლო; ისინი გამოირჩევიან დიდი სტუმართმოყვარეობითა და შესაშური ზდილობით, ამასთან ერთად მიმნდობნიც არიან. მათ ადვილად დაიჯერეს პროპაგანდისტული ჭორი, რომ ქართველები მათი მტრები არიან და ტყვია ესროლეს თავიანთ ისტორიულ ძმებს. სანაცვლოდ მიიღეს „თავისუფლების“ მანტიაში გახვეული სეპარატიზმი, რასაც სახელად აფხაზეთის ტრაგედია ჰქვია. უნებლიეთ მახსენდება შოთა ნიშნიანიძის წინასწარმეტყველური სიტყვები:

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის
გამდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი
უსაქართველოდ.“

აფხაზეთი ყველა ქართველისა და აფხაზის მოუშუშებელი ჭრილობა და ტკივილია. აფხაზეთის ტრაგედიამ საფრთხე შეუქმნა არა მარტო აფხაზი ხალხის, არამედ აფხაზური ენის არსებობასაც. აფხაზური ენა, იუნესკოს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაშია შეტანილი. ეს საფრთხე განსაკუთრებით ძლიერია დღეს, ვინაიდან აფხაზეთი მოწყვეტილია თავისი ისტორიული განვითარების ორბიტას, ქართველ ხალხთან ერთად თანამშრომლობისა და კულტურული განვითარების შესაძლებლობას.

თუ გადავხედავთ ისტორიულ წარსულს, დავინახავთ რომ აფხაზები და ქართველები ერთად ცხოვრობდნენ მშვიდობიანად ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში. ისინი „ბარიკადების სხვადასხვა მხარეს“ არასოდეს მდგარან (ლ. მარშანია). ქართველი ენათმეცნიერები, მწერლები და პოეტები ზრუნავდნენ აფხაზური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. მარტო ის რად ღირს, რომ ორი ქართული შედევრის - აკაკი წერეთლის „გამზრდელისა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟები აფხაზები არიან. ამ ქმნილებებში დიდი მხატვრული ოსტატობით არის განსახიერებული აფხაზი კაცის სულიერი სილამაზე, კაცური კაცობა და ხასიათი.

მტრები ვერაფერს დააკლებენ ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობასა და ძმობას წარსულში. მაგრამ ისტორია არა მარტო წარსული და აწმყოა, არამედ ის ჩვენი მომავალიცაა. რა მოხდება მომავალში, ცხადია, ეს არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ გასაგები უნდა იყოს: ჩვენი მომავალი ჩვენივე გადასაწყვეტია მესამე ძალის ჩარევის გარეშე. ამიტომ ჩვენ დიახაც დაინტერესებულნი ვართ აფხაზური ენისა და კულტურის ბედით, საერთოდ, აფხაზი ხალხის მომავლით: ის ხომ ჩვენი ისტორიული ყოფის ნაწილია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზური ფონდი ციფრდება

მაია შონია

მართალია, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას აფხაზურ მხარესთან პირდაპირი კონტაქტი არა აქვს, მაგრამ ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის შესასვლელში, ერთგვარი სავიზიტო ბარათივით, აფხაზური კუთხის გახსნით, აფხაზური ლიტერატურის შენახვა-დაცვითა და მისი გაციფრებით ქვეყნის მთავარი წიგნსაცავი თავის განწყობასა და დამოკიდებულებას - მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის მზადყოფნას გამოხატავს.

სწორედ ამას ემსახურებოდა 27 სექტემბერს სოციალურ ქსელში ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის მიერ გაკეთებული განცხადებაც: „დღეს სოხუმის დაცემის დღეა: სხვა ემოციებისა და ტკივილის დღე. მე ამაზე ჩემი პასუხი მაქვს და ვიცი, ასეთი პასუხია ყველაზე უფრო ზუსტი: ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ ადრე თუ გვიან და მიუხედავად ყველაფრისა, ხაზგასმით - მიუხედავად ყველაფრისა, ამ ცხოვრებისთვის და ურთიერთობისთვის მზადება ასე უნდა დავიწყოთ: ეს აფხაზური ბიბლიოთეკაა, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული კორპუსის შემოსასვლელშივე განვათავსეთ“.

ამ კომენტარის ერთგვარი გაგრძელებაა გიორგი კეკელიძესთან ინტერვიუ, სადაც ის უფრო დეტალურად საუბრობს აფხაზურ ფონდთან დაკავშირებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე სამუშაოებსა და იმ ნაბიჯებზე, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის დგამს.

გიორგი კეკელიძე: - ჩვენ არ ვეძებთ აფხაზეთში არსებულ ბიბლიოთეკასთან ურთიერთობის და კონტაქტების დამყარების გზებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ეტაპზე ეს გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ ამ შემთხვევაში ვაგრძელებთ მუშაობას ცალკე:. ძალიან აქტიურად ვეწევით ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული აფხაზური ლიტერატურის გაციფრებას. დაგეგმილი გვაქვს ამ უნიკალური მასალის მთლიანად გაციფრება. ამავე დროს, მოწადინებული ვართ, რომ აფხაზური კუთხე, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა, უფრო აქტიური გავხადოთ. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ და ვეცდებით, ეს ყველაფერი იყოს საერთო სიკეთე. ამ ყველაფრით ისარგებლონ უპირველესად იმ ადამიანებმა, რომლებიც კითხულობენ და მეტყველებენ აფხაზურად. ეროვნული ბიბლიოთეკის ქმედებები ამით შემოიფარგლება.

- როგორც ვიცით, ძალიან რთულია აფხაზურენოვანი ფონდის განახლება.

- აქ საქმე მართლაც რთულადაა, რადგან ჩვენ გვაქვს მასალები, რომლებიც 1990-იან წლებამდე არის გამოცემული და აჟამად სწორედ მათი გაციფრების პროცესი მიმდინარეობს, რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია. ეს მასალა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა, ისტორიული, ასევე ენობრივი კომპონენტების შესწავლის თვალსაზრისით და კიდევ ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით, არის საინტერესო. რაც შეეხება ახალ აფხაზურენოვან გამოცემებს, შემთხვევით თუ წავაწყდებით, კერძო პირებისგან ჩამოტანილს. მათი მოპოვება აფხაზეთში ჩვენთვის თითქმის შეუძლებელია.

- რამდენადაც ცნობილია, ეროვნულ ბიბლიოთეკას აფხაზური ლიტერატურის ისეთი ფონდი აქვს, როგორიც თვით აფხაზეთშიც არ არის.

- ცხადია, ეროვნული ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში მთავარი დეპოზიტარიუმი იყო. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში და ცოტა ხანი მას შემდეგაც, გამოცემული ყველა მასალა სწორედ აქ იყრიდა თავს. თუმცა, გარკვეული ნაწილი არის რუსეთშიც და საინტერესო იქნებოდა მისი კვლევაც.

- 27 სექტემბერს სოციალური ქსელის საშუალებით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მომავალთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო პოზიცია გამოხატეთ, რომელსაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელებული კონკრეტული პროექტები ამყარებს. სიმბოლური თარიღების დროს გახმიანებული მსგავსი ვირტუალური მესიჯები მეორე მხარესთან კონტაქტის საკმაოდ კარგი და ეფექტიანი ფორმაა. რა შედეგს ელოდებით ამ ნაბიჯების პასუხად?

- ჩვენ არანაირ კონკრეტულ შედეგს არ ველოდებით. ამის ილუზია ამ ეტაპზე არ გვაქვს. ჩვენი მესიჯიც და პოტენციური შედეგიც არის ის, რომ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობენ, დავანახოთ, რომ ჩვენთვის აფხაზური ენა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ყოველთვის შევეცდებით, გავუფრთხილდეთ ამ ენას და ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურას. მე დიდი იმედი მაქვს, რომ როცა იქნება, ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებთ და ამისთვის პოზიტიური მზაობა უნდა გვქონდეს. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზები ამ მესიჯებს კითხულობენ, ამიტომ ყოველგვარი წარსულის სიმძიმის გარეშე ვცდილობთ, სივრცე, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს, ამ მხრივ მაქსიმალურად ინფორმაციული და ხელმისაწვდომი გავხადოთ. ეს სივრცე საინტერესო უნდა იყოს უცხოელებისთვისაც. აქ ისინი გაიგებენ, რომ აფხაზური არის ძალიან საინტერესო ენა, საინტერესო ლიტერატურით. ეს ყველაფერი, თავისთავად, საინტერესო უნდა იყოს ქართველი მეცნიერებისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აფხაზური ენისა და ლიტერატურის კვლევით. ასეთები, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი არიან და რაც მეტი გვეყოლება, მით უკეთესი იქნება.



საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატის, არაერთი სხვა საპატიო ტიტულის მფლობელისა და ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის დიმიტრი ჯაიანის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა კრებული „დიმიტრი ჯაიანი“. კრებულში დიმიტრი ჯაიანის ბიოგრაფია, ცხოვრება და შემოქმედება, მისი როლები, პოლიტიკური ხედვა, მრწამსია... გადმოცემული... აქვე თავმოყრილია ახლობლებისა და მეგობრების, კოლეგებისა თუ სხვა ცნობილი ადამიანების წერილები, რომელთა ერთობლიობით იხატება მრავალმხრივ საინტერესო პორტრეტი დიმიტრი ჯაიანისა, როგორც ხელოვანისა და პიროვნებისა. კრებულის ავტორ-შემდგენელია ხელოვნებათმცოდნე მერაბ გეგია.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს კრებულიდან.

ერთგული

დიმა ჯაიანს დიდი ხანია ვიცნობ. ვფიქრობ, რომ მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი როლი ნანახი მაქვს. ის გამოირჩევა თვისებებით, რომელთა ჯამი ქმნის ღირსებას, რომელიც დიმა ჯაიანს გააჩნია. მე ეს მასთან მუშაობის დროსაც გამოვცადე და მანამდეც ვგრძნობდი. დიმა ძალიან ერთგულია ადამიანებისა და თავისი საქმისადმი. თუ მან მოგცა სიტყვა, რომ რაღაცას გააკეთებს, შეგიძლია, მშვიდად იყო და იმ მხარეს არც გაიხედო, დიმა სიტყვას აუცილებლად შეასრულებს. მას აქვს გრძნობა იმისა, რომ თუ კაცს რამეს შეჰპირდები, მერე ვალდებულიც ხარ, დანაპირები შეასრულო. უნდა ითქვას, რომ ეს თვისება ყველა ეპოქაში უაღრესად დასაფასებელი იყო.

დიმა ჯაიანმა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სოხუმის თეატრში გაატარა. და ის, როგორც მან ეუერთგულა სოხუმის თეატრს, არ მეშინია ამ გადაჭარბებული სიტყვების და არ მეშინია იმიტომ, რომ გადაჭარბებულად არ მიმაჩნია; ის, როგორც მან თავი დადო სოხუმის თეატრისთვის; ის, როგორც მერე უკვე ხელმძღვანელის რანგში ბოლომდე იდგა თეატრის და სოხუმის, საერთოდ, აფხაზეთის სადარაჯოზე, მხოლოდ ძალიან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო, გაეკეთებინა.

რაც შეეხება შემოქმედებით თანამშრომლობას, ჩვენ დიდ ხანს ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, რათა ერთად გვემუშავა. დიმას იმის სურვილი კი არ ჰქონდა, რომ პირადად მასთან მემუშავა, არამედ უნდოდა სოხუმის თეატრში დამედგა რამე. ის ამ საკითხსაც სხვანაირი ერთგულებით ეკიდებოდა, ძალიან ტაქტიანად, მაგრამ პერიოდულად საშველს არ მაძლევდა და მერე, როგორც იქნა, შევთანხმდით, მიახლოებითი დრო დავთქვით... მაგრამ საინტერესო იყო, რა დაგვედგა? მოლიერი? შილერი? შექსპირი?.. ის, რასაც სხვა თეატრებში ვდგამდი? შევთანხმდით, რომ სოხუმის თეატრში უნდა დამედგა იმაზე, რაც ჩვენს საერთო ტკივილთან და დიდ უბედურებასთან იყო დაკავშირებული. ასე მივედით გურამ ოდიშარიას მოთხრობების კრებულამდე და ასე შევყარეთ მას დრამატურგიის ვირუსი, პიესის „ზღვა რომელიც შორია“ რამდენიმე ვარიანტი დავაწერინეთ. საბოლოოდ კი, რაც გამოვიდა, მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი, ძალიან მომწონდა...

თანდათან ძალიან შემიყვარდა ყველაფერი, რაც მაშინ დაკავშირებული იყო სოხუმის თეატრთან. ძალიან მომწონდა იქაური ატმოსფერო და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეჟისორისთვის, როცა ის უცხო თეატრში მიდის. თეატრი კი უცხოა რეჟისორისთვის, რაც არ უნდა მისი მაყურებელი იყოს და მსახიობებსაც კარგად იცნობდეს, თუ შიგნით არ ყოფილა. იმ ატმოსფეროს შექმნაში კი, რაც ზოგადად სოხუმის თეატრში, სპექტაკლის „ზღვა, რომელიც შორია“ რეპეტიციებზე სუფევდა, ბუნებრივია, დიდი წვლილი მიუძღოდა დიმას.

მაშინ სოხუმის თეატრში რამდენიმე მსახიობმა მომხიბლა, მშვენივრად თამაშობდნენ, მშვენივრად თამაშობდა დიმა. „ზღვა რომელიც შორია“ ჩემთვის ძალიან საყვარელი სპექტაკლი გახდა. ვინმემ, ისე არ გამიგოს, რომ ამ სპექტაკლს ვაქებდე, არა, კი არ ვაქებ, არამედ იმის თქმა მინდა, რომ „ზღვა, რომელიც შორია“ განსაკუთრებით მიყვარს და მეყვარება.

დიმას ვუსურვებ, ვიდრე მოწიფულობის წლები აქვს, თეატრში კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოასწროს, ბოლომდე დახარჯვა შეძლოს.

თემურ ჩხეიძე

ქარიზმატული

მე ხშირად ვხვდები ახალგაზრდობას, სკოლის მოწაფეებს თუ სტუდენტებს და პირველი შეკითხვა, რომელსაც ისინი მისვამენ, ყოველთვის ამგვარი ხასიათისაა: რა არის საჭირო საიმისოდ, რომ ადამიანი მსახიობი გახდეს? მეც ამ კითხვაზე ყველას ერთსა და იგივეს ვპასუხობ: თუ გინდა მსახიობი გახდე, არანორმალურად უნდა გიყვარდეს არტისტობა და ძალიან, ძალიან უნდა გინდოდეს არტისტი გახდე. მე მგონია, რომ დიმას არანორმალურად უყვარს არტისტობა და ბავშვობაში ძალიან, ძალიან უნდოდა არტისტი გამხდარიყო.

ამიტომაც მიყვარს დიმა ჯაიანი! თუმცა მხოლოდ იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ძალიან უყვარს ის საქმე, რაც მეც ძალიან მიყვარს, არამედ იმიტომაც, რომ მას ყოველი როლის თამაშისას ეტყობა, როგორ არანორმალურად უყვარს ის, რასაც აკეთებს. ალბათ, ამიტომაც მისი ყოველი ნამუშევარი შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე და მომწონს. ძალიან ვაფასებ როგორც დიმას შემოქმედებას, ისე მის პიროვნებას. ჩვენი ყოველი შეხვედრაც ურთიერთპატივისცემითა და კეთილგანწყობით არის გამორჩეული.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ თეატრზე უზომოდ შეყვარებულ და თავგანწირულ ადამიანს შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც მან სოხუმის თეატრისთვის გააკეთა. მიფიქრია ხოლმე, მე ამას შევძლებდი? ალბათ, არა და ალბათ, იმიტომ არა, რომ ვიფიქრებდი, ამას სხვა გააკეთებს-მეთქი. დიმა კი ის პიროვნებაა, რომელიც სხვას არ ელოდება, არამედ ამბობს, მე უნდა გავაკეთო ის, რაც აუცილებელია და რაც ვიღაცამ დამაკისრა (შესაძლოა, განგებამ)...

დიმა იმიტომაც მიყვარს და ვაფასებ, რომ მას ღირსეული ადამიანისთვის დამახასიათებელი კაცური თვისებები აქვს. დიმას ამგვარი თვისებები მოზღვავებულად აქვს, რაც ქმნის მის პიროვნულ ხიბლს, შეიძლება ითქვას, ქარიზმატულობასაც.

ვფიქრობ, დიმა არის პიროვნება, რომელთანაც თუ ცნობილ გამონათქვამს მოვიშველიებთ, შეიძლება დაზვერვაშიც წახვიდე. თუ არ ენდობი კაცს, ხომ ვერ გაჰყვები. მე დიმას ვენდობი და მასთან ერთად შემიძლია დაზვერვაშიც წავიდე!

ჩემი საუკეთესო სურვილები, შენ, დიმა!

შენი

კახი კავსაძე

ქუდბედიანი

მსახიობისთვის მთავარი გულწრფელობაა.

იმისთვისაც ასე უნდა იყოს, ვინც მსახიობზე წერს.

ვერ ვიტყვი, რომ დიმიტრი ჯაიანი უცებ და ადვილად მივიღე.

მისი მეფე გიორგი მაშინ ვიხილე, როცა ის-ის იყო იწყებოდა კინოენის აღქმა და კინემატოგრაფის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად თეატრალურობის გაცნობიერება.

კონსტანტინე გამსახურდიას უსაყვარლესი პერსონაჟი დიმიტრი ჯაიანმა სცენაზე განასახიერა და მსგავს პრეტენზიას ვერ წაუყენებდნენ, პირიქით, თეატრალურობა აქ არტისტულ მომხიბვლელობასთან გაიგივდა.

ეს უკვე ნიშნავდა ქუდბედიანობას.

სხვა რა უნდა დაარქვა იმას, როცა უფალი მეფურ გარეგნობასა და დრამატულ (ტრაგიკულთან მიახლოებულ) ნიჭს ერთად გამოიმეტებს.

მაგრამ ამქვეყნად არსებობენ მეფეებზე უფრო დიდი მეფეები, ანუ პოეტები!

დიმიტრი ჯაიანის ნამდვილი ქუდბედიანობა სწორედ მაშინ ვიწამე, როცა მისი ლადო ასათიანი ვნახე.

ბედნიერია მსახიობი, ვისაც შეუძლია, მეფეც განასახიეროს და პოეტიც.

ადვილი შესაძლებელია, დადგეს დრო, როცა დიმიტრი ჯაიანი მეფე-პოეტსაც განასახიერებს. თუ ამაზე ცნობილი დრამატურგები არ იზრუნებენ, მზად ვარ, ეს თავად ვიკისრო როსტომ ჩხეიძის წაქეზებით, ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება უკვე დამიგროვდა.

პიროვნებაზეც ვიტყვი.

ჩემი დაკვირვებით, მთავარი, რაც დიმიტრი ჯაიანის პიროვნებას განმსჭვალავს და ასულდგმულებს, სიყვარულია. მის ხასიათში ეს თვისება იმდენად წარმმართველია, რომ ზოგჯერ ფილტრაციასაც არ ექვემდებარება: შეუძლია, ლადო ასათიანიც უყვარდეს და მისთვის სიცოცხლის გამმწარებელიც.

ალბათ, უშეცდომოდ არც მას უვლია გზები, მაგრამ მგონია, რომ ამ შეცდომებშიც გულწრფელი იყო.

ამიტომაც უყვართ.

ძალიან ბევრს უყვარს.

მეც მათ შორისა ვარ.

და მოუთმენელი ინტერესით ველოდები მის ახალ როლს.

მინდა, დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენს ტრაგიკულ დროში, სცენაზე ტრაგედიის გამთამაშებლები საბოლოოდ არ გამქრალან.

დაგვიმტკიცებს...

იოსებ ჭუმბურიძე

გარდაიცვალა ნოდარ ტაბიძე, მწერალი და პუბლიცისტი, პროფესორი, წლების განმავლობაში თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი.
ნოდარ ტაბიძე იყო გალაკტიონ ტაბიძის ძმისწული და მისი „პატარა მთარგმნელი", როგორც თავად იხსენიებდა საკუთარ თავს.
ის იყო გალაკტიონის შემოქმედების გამორჩეული მკვლევარი და გალაკტიონ ტაბიძის, სერგეი მესხის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიების ლაურეატი.
ნოდარ ტაბიძეს ქართული ჟურნალისტიკის მეტრსა და მოძღვარს, პროფესორად დაბადებულ ჯაცს თავად მისი აღზრდილები უწოდებდნენ!
გთავაზობთ ნოდარ ტაბიძის წერილს: „გალაკტიონი და აფხაზეთი", რომელიც ასახავს გალაკტიონის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აფხაზეთისადმი და ამ თვალსაზრისით შეიცავს რეალურ ეპიზოდებს, რისი შემსწრეც გენიოსის ძმისწული უშუალოდ ყოფილა.

„ვცხოვრობ ოცნებით და სიყვარულით"

გალაკტიონი და აფხაზეთი

ნოდარ ტაბიძე

უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია, როგორ შეიმეცნა გალაკტიონმა აფხაზეთი. რაზე გაამახვილა ყურადღება და რატომ, ხოლო აქედან გამომდინარე, როგორია ამ კუთხისადმი საზოგადოებრივი აზრის შექმნის პოტენციალი და მკითხველთა ესთეტიკური ტკბობის ხარისხი.

მეორე მხრივ, დასაძებნია მეტყველი და საგულისხმო პლასტები, რომლებზე დაყრდნობითაც გაირკვევა აფხაზეთის წვლილი გალაკტიონის პალიტრის გამდიდრებაში, პოეტურ სახეთა წარმოქმნასა და, საერთოდ, მხატვრული ოსტატობის ამაღლებაში. წერილის სათაურიც სწორედ ამაზე მიგვანიშნებს, მხარეთა ურთიერთგანაპირობებულობას გახაზავს.

როგორც ერთი იტალიელი მეცნიერი იტყოდა: შემოქმედება პათოლოგიაა, იგულისხმება ის არაორდინარული გადახვევებიც, რომელთა ახსნა ლოგიკური კატეგორიებით ვერ ხერხდება და ირეალურ სამყაროში ვეძებთ გასაღებს.

აფხაზეთისადმი გალაკტიონის ახლო დამოკიდებულება მრავალი ფაქტორით იყო შეპირობებული და თანაც ყველაფერი გამჭვირვალეა.

დავიწყოთ იმით, რომ პოეტი გენეტიკურად იყო დაკავშირებული აფხაზეთთან: „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან - ჩემი დიდი დედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელისა". საგულისხმო ფაქტია. ამასთანავე, არის სხვა მიზეზებიც. აფხაზეთი გალაკტიონისათვის პოეტური აფეთქებების საბაბიც იყო და სულიერი დამშვიდების წყაროც.

ზღვა და ზღვისფერი ჰორიზონტი, უშორესი ტალღებით ჩაჭრილი, უკარნახებს პოეტთა მეფეს, სადღაც აქ ეძებოს ტკბობა-ამაღლების იმპულსები.

გალაკტიონმა საკუთარი თავი აღმოგვაჩენინა, გვასწავლა საკუთარ სულში ჩაღრმავება, შეგვაძლებინა ის, რასაც დამოუკიდებლად ვერ შევძლებდით.

მახსენდება ასეთი ეპიზოდი: ამღვრეული გალაკტიონი ჩემს პატარა ოთახში შემოდის, საწოლზე ჩამოჯდება და მეუბნება - მოდი, გავუტიოთ აფხაზეთისკენ!.. სახე უნათდება, თვალებიდან სილბო იღვრება და მეჩვენება, რომ იგი ამ წუთში სოხუმშია, ტალღების რონინით ტკბება.

მცირეოდენი გაყუჩება და ისევ შეკითხვა: იცი, რა ფერისაა ზღვაში კენჭები?

ვდუმვარ და ვეძებ იმ თავისებურ ფერს, რომელსაც ბიძაჩემი გულისხმობს. ამაოდ ვცდილობ. ეს მხოლოდ ერთადერთმა გალაკტიონმა უწყის.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ხმადაბლა ვიწყებ:

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,
მომენატრა მზე, სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც ვრცელია".

გალაკტიონი თითქოს ფხიზლდება. მხარზე ხელს მითათუნებს და ღიმილით გადის.

ვინ იცის, ზღვისა და კენჭების „ამბავს" სად და კიდევ როგორ ამოლექსავს - მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის.

შემთხვევითი როდია, რომ გალაკტიონმა სწორედ აფხაზეთში მოინდომა დროებით დამკვიდრება. სოხუმში, მარტის ქუჩაზე, დიდი ორსართულიანი სახლის მშენებლობაც წამოიწყო. ჰოდა, მისთვის ჩვეული ეპიზოდური ფაცი-ფუცით მიჰყვებოდა დიდ გზას: ფულის გადარიცხვა, ზედამხედველის შერჩევა, ხანგამოშვებითი მონახულება ამოყვანილი კედლების და ა.შ. მშენებლობა 1958 წელს დამთავრდა. სამწუხაროდ, გალაკტიონს ერთი ღამეც არ გაუთენებია იქ.

აფხაზეთი გალაკტიონისათვის მარად საოცნებო მხარე იყო. გულისყურით ადევნებდა თვალს მის ცხოვრებას. ახლო ურთიერთობას ამყარებდა თანამოკალმეებთან.

კარგად არის ცნობილი სურათი, რომელზეც ორი სახალხო პოეტია გამოსახული საქართველოსი - გალაკტიონი და აფხაზეთის - დიმიტრი გულია.

გავიხსენოთ ლექსი:

„მშფოთვარებაში დინჯი
და გამართული ბიჯი,
შენ შენი გრძნობის ნიჭი
და შენი საქმე გაქებს".

გალაკტიონი საგანგებოდ გახაზავს, რომ დიმიტრი გულიამ აფხაზურ ენაზე ააჟღერა „ვეფხისტყაოსანი" და მიძღვნას ასე ამთავრებს:

„ხან უმძაფრესი, ხან კი
ტკბილი, ვით ზეცის ბანგი
მხნე, აფხაზური ჩანგი. შენ,
შენი ჩანგი გაქებს".

შორს წაგვიყვანს იმის აღნუსხვა, თუ რამდენჯერ არის ნახსენები გალაკტიონის შემოქმედებაში საოცნებო ზღვისპირეთი და მასთან დაკავშირებული ტოპონიმები, ვთქვათ, აფხაზეთი (68), სოხუმი (17), ბზიფი (10), დიოსკურია, ბიჭვინთა, რინა და სხვა.

ერთი კი ხაზგასმით უნდა ითქვას, მგოსანი დიდხანს ოცნებობდა შეექმნა წიგნი აფხაზეთზე.

ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა 1945 წლის მიწურულიდან დაიწყო. გალაკტიონისათვის დამახასიათებელი იყო ასეთი სერიოზული საქმისადმი გულდაგული მიდგომა, ობიექტის მრავალმხრივ გათავისება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლას მიჰყო ხელი. ძმას - აბესალომს (პროკლეს) სთხოვა დახმარება და ეს უკანასკნელიც უშურველად ირჯებოდა.

აი, აბესალომის ერთი ჩანაწერიც: „1946 წ. 27. VII, შაბათი. ვიყავი საჯარო ბიბლიოთეკაში. მინდა შევაგროვო ცნობები აფხაზეთსა და აფხაზებზე გალაკტიონისათვის".

ძმამ გულმოდგინედ შეისწავლა ნ. მარის, ხ. ბღაჟბას, ა. ფადეევის და სხვათა ნაშრომები. დავესესხები მის მონათხრობს.

-ყოველ საღამოს ცინცხალი მასალები მომქონდა შინ. ჩავიკეტებოდით კაბინეტში და ვარჩევდით. ზოგჯერ გალაკტიონი წამოხტებოდა და იტყოდა: ო, ეს ძალიან კარგია, უთუოდ გამოგვადგება.

ერთხელ „ივერიაში" დაბეჭდილი კორესპონდენციის შინაარსი გავაცანი. ჟურნალისტი წერდა, რომ ცარიზმის პოლიტიკის გამო აფხაზეთი ცარიელდება. მუხაჟირობამ სავალალო შედეგი მოიტანა. ხელისუფლებამ დაცარიელებული აფხაზეთის სოფლებში ბერძნებისა და ბულგარელები ჩამოასახლა. ისინი ვერ შეეგუნენ ადგილობრივ პირობებს. ციებამ მუსრი გაავლო.

ბევრი იცინა გალაკტიონმა, როცა შემდეგი ამონარიდი წავუკითხე: ჩამოსახლებულნი რათა ყურძნით პირი ჩაიტკბარუნონ, ხეზე კი არ ადიან, არამედ ხესა და ვენახსაც ერთიანად ჭრიან.

წარმოგიდგენია, აბესალომ, ჩვენი დიდი ბჟოლა რომ ვინმემ მოჭრას, რათა კამური დააგემოვნოს?! ჰა, ჰა, ჰა.

მერე ჩაფიქრდა და თქვა: - იმაზე დიდი სასასტიკე, დაუნდობლობა რა იქნება, რომ მოსახლეობა აყარო და მამა-პაპათა საფლავებზე ლოცვა მოუშალო.

ახლა, როცა ამ მონათხრობს ვიხსენებ, გონებაში გალაკტიონის „მახაჟირის" სურათები ცოცხლდება:

„რა დამავიწყებს
ფირუზისფერს
ტყესა და ნაპირს,
მაღალ მთებითა
და ერცახუს
ვარსკვლავით ტყუპით,
ჯახში, ჯახირში,
ჭაობებში,
ხაშმში - მახაჟირს -
მშობლიურ მიწის
ერთი მუჭა
თან მიაქვს უბით".

ამ გრძელ ლექსში საუცხოოდ არის მოხაზული პორტრეტი ლამაზი, ამაყი, მამულისათვის თავგადაკლული ვაჟკაცისა. მისი მოთქმა-გოდება სისხლს ყინავს ძარღვებში. შეუძლებელია მკითხველმა გულგრილად მოისმინოს მუჰაჟირის მონაყოლი. თავიდათავი მაინც ის არის, რომ წუხილი იმედთანაა შერწყმული.

გალაკტიონი სოხუმში პირველად 1927 წლის 13 თებერვალს ჩადის, ბათუმიდან მომავალი თბომავლით „თეოდორ ნეტტე". მერე ხომ ხშირი სტუმარია ამ ულამაზესი ქალაქისა. ეშურება სანაპიროს, ტალღებს, რომ ლექსად აქციოს ის მუსიკა, ფერები, რასაც, მის გარდა, სხვა ვერ გაიგონებს, ვერ დაინახავს.

გალაკტიონისათვის აფხაზეთი არის ნაღდი საქართველო, მისი ერთ-ერთი უძველესი და განუყოფელი ნაწილი. აქ გვერდი-გვერდ ცხოვრობენ და იღვწიან ირაკლი და საითი, მზევნარი და ზეხა. მათ არა მხოლოდ ცა და მიწა აქვთ საერთო, არამედ ისტორიაც, მიდრეკილებებიც. ცხადია, ეს არ ნიშნავს ყველაფრის ნიველირებას.

გალაკტიონს მოსწონს აფხაზის სიჩაუქე და გამტანიანობა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული:

„მადლობა აფხაზეთს,
მის მზეს და ზღვის ძალას,
მის წინ მოწიწებით
მე ვიხდი ჩაბალახს.
მადლობა ასწლოვან მოხუცებს,
მის მგოსნებს,
სულს წმინდას,
ხმალს უცებს.
მადლობა უდარებელ
აფხაზთა ზრდილობას,
სტუმართმოყვარებას,
ოჯახიშვილობას".

აფხაზეთი პოეტური შთაგონების წყაროცაა. მან დასაბამი მისცა არაერთ საუკეთესო ლექსს.

და მაინც: საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ „აფხაზეთის წვიმაზე". შეცდომა იქნებოდა, იგი მხოლოდ ბუნების აღწერად მიგვეჩნია, ფაქტის გაცნობიერებად. წვიმა ზღვის ნაპირას მრუმეა, დამთრგუნველი, გაქცევისაკენ რომ გიბიძგებს. გალაკტიონთან კი იგი მოკამკამეა, ამაღლებული განწყობის შემქმნელი, დავუკვირდეთ ფერებს და მუსიკას.

„აფხაზეთის წვიმა მიყვარს,
იცი რად?
მგოსნის ხმა აქვს, როს ფოთლებზე
ხმაურობს.
ჟღერს მაისის მწვანე ჩანგი
და წკირად
მასზე ზვირი დადის და
მოგზაურობს.
მიიმღერა, მოიმღერა
აქ ხვითომ...
აფხაზეთის წვიმა მიყვარს
ამიტომ...„1

და შემდეგ:

„გამოვიდეს რომელიმე
ვაჭარი
და ამ წვიმის პოეზია
უარყოს!"

წვიმა ასოცირდება მგოსნის ხმასთან. შედარება პოლიინფორმაციულია. პარალელის პირველი წევრით, რომელიც საოცრად თბილი და მოკასკასე ფერებითაა წარმოჩენილი, ხასიათდება მთელი აფხაზეთი. ალბათ, დამეთანხმებით, „მიიმღერა, მოიმღერა აქ ხვითომ" გენიალური მოსმაა კალმისა.

გალაკტიონმა გააერთიანა აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსები და 1948 წელს ცალკე წიგნად დასტამბა - „ზღვა ახმაურდა". კრებული კვალიფიცირებულ იქნა, როგორც თვალსაჩინო მიღწევა. სხვათა მოსაზრებების ფიქსაციისაგან თავის ვიკავებ. უპრიანია თვით გალაკტიონს მოვუსმინით;

აფხაზეთმა გააფართოვა გალაკტიონის თვალსაწიერი და აამაღლა მისი პოეტური კულტურა. ზღვის თემატიკას თვალსაჩინო ადგილი დაეთმო მგოსნის შემოქმედებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარის როლიც.

გალაკტიონი წუხილით აღნიშნავდა, რომ რუსთაველის შემდეგ ზღვა გაქრა ჩვენი მწერლობიდანო. ამ ფაქტს აღიქვამდა, როგორც ქვეყნის დაკნინების ნიშანს. ამიტომაც ფრიად გაისარჯა ხსენებული ხარვეზის ამოსავსებად.

აფხაზეთის ციკლი იმითაც არის საყურადღებო, რომ სრულიად საქართველოს ერთიანობა-სიმტკიცეს ემსახურება. მან ბევრი მისცა არა მხოლოდ ამ მხარის მკვიდრთ, არამედ ქვეყნის მთელ მოსახლეობას.

აფხაზეთმა ორიგინალურად აანაკადა გალაკტიონის პოეზია. ახალი სახეებითა და ფერებით გაამდიდრა.

და ერთიც, აფხაზეთის მშვენიერი ბუნება, მისი მცხოვრებლების მეგობრული განწყობა პოეტს სულიერი ამაღლებისა და სიმხნევისაკენ უბიძგებდა.

„მოგონებანი გალაკტიონზე"
თბილისი, 2000წ.
იბეჭდება შემოკლებით.

გზა შინისაკენ

ნოდარ ტაბიძე აღარ არის! რამდენი რამ არის სათქმელი, გასახსენებელი, მე კი მაინც ერთხელ უკვე ნათქვამს გავიმეორებ:

1981 წელი იდგა. უნივერსიტეტს ვამთავრებდით, არავინ იცოდა, ვინ საით წავიდოდა, ვის საით გადაისროდა ბედი. წლების შემდეგ (1990 წელს) მე გალში წავედი სამუშაოდ. ქვეყანა უკვე ირეოდა. აფხაზეთშიც ყველა გრძნობდა იმ ნაღმს, რომელიც დღეს-ხვალ აფეთქდებოდა, მხოლოდ ფეხის წამოკვრაღა იყო საჭირო, თუნდაც შემთხვევით.

...მერე დრო შურდულივით გავარდა თითქოს და აფხაზეთიდან გამოძევებულთა ტალღას, ცხადია, მეც გამოვყევი.

ძნელი იყო დანუგეშება. თუმცა ყველა თავისებურად ცდილობდა. თბილისში ჩამოსულმა, რა თქმა უნდა, უპირველესად ჩვენს დეკანსა და მაესტროს, ბატონ ნოდარ ტაბიძეს მივაკითხე. ის მეც მამხნევებდა თითქოს და საკუთარ თავსაც: „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში, ჩვენ აუცილებლად შევიყრებით გალში, შენს სახლში, მით უმეტეს, რომ...„ ბატონი ნოდარი მაგიდის უჯრიდან ამოტანილ საქაღალდეში რაღაცას ეძებს, მერე კონვერტს პოულობს, და იქიდან გაყვითლებული ფურცელი ამოაქვს... დავხედე, თვალებს ვერ ვუჯერებ... მახსენდება, თითქმის თერთმეტი წლის წინათ, ბოლო სახელმწიფო გამოცდის შემდეგ, მე მას უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცელზე მოვუხაზესავით ენგურის ხიდიდან ჩემს სახლამდე მიმავალი გზა. ბატონი ნოდარი ახლა თავის მაშინდელ დანაპირებს ისევ იმეორებს: „მე აუცილებლად ჩამოვალ შენთან, სახლში ამ ნახაზის წყალობით!„ ახლა ის, ცხადია, სულაც არ იყო გზა მარტო ჩემი სახლისაკენ, ის აფხაზეთისკენ მიმავალი გზის სიმბოლოდ ქცეულიყო. მაშინ ვიფიქრე, ჩვენ მხოლოდ ამგვარი მეხსიერება, ამგვარი ერთგულება დაგვაბრუნებს-მეთქი აფხაზეთში. ჯერ კიდევ შარშანდლამდე (ვიდრე ბატონ ნოდარს ჯანმრთელობა შეერყეოდა), როგორ მჯეროდა, რომ ეს მართლა ასე მოხდებოდა... ახლა უკვე ბატონი ნოდარი აღარ არის და იქ დაბრუნებასთან დაკავშირებული ამბები თუ იმედები უეცრად გაღარიბდა...

ნატო კორსანტია

ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით

ბეჭან ხორავა

დასასრული
დასაწყისი გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“ N35

აფხაზეთში სამეკლესიიანი ბაზილიკებია: გაგრის ეკლესია (VI ს.), აბაანთის ციხის ეკლესია (VII-VIII სს.), ამბარა (VIII-IX სს.), ქიაჩი (VIII-IX სს).

გაგრის ბაზილიკა (VI ს.). მდ. ჟოეკვარას შესართავთან, ზღვის ნაპირზე, მთის ძირას გვიანდელ ანტიკურ ხანაში (IV-V სს.) რომაელებს აუგიათ სწორკუთხა სიმაგრე, რომელიც შავი ზღვის სანაპირო გზას კეტავდა. გაგრის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე დგას ტლანქად დამუშავებული კირქვის კვადრებით აგებული მცირე ზომის ეკლესია, სამეკლესიიანი ბაზილიკა. მისი შიდა სივრცე კედლებითაა დაყოფილი სამ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს გასასვლელებით უკავშირდება. ტაძრის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ნალისებური ფორმის საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით გადახურული დარბაზი. იგი ნათდება საკურთხევლის დიდი სარკმლით, დასავლეთის უფრო მცირე ორი სარკმლით და სამხრეთის სამი სარკმლით. ცენტრალურ დარბაზს ხუთი შესასვლელი აქვს: ორ-ორი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ერთი – დასავლეთიდან. ტაძრის დეკორატიული მორთულობა მეტად ძუნწია – რამდენიმე რელიეფი ჯვრის გამოსახულებით სამხრეთი და დასავლეთი კარის

ანუხვას წარწერები

გაგრის ბაზილიკა

ტიმპანებსა და დასავლეთის კედელზე. სამივე გამოსახულება ერთნაირია: წრეში ჩახაზული ტოლმკლავა ჯვარი, რომლის მკლავთა ბოლოები იშლება და თითქოს წრედ იკვრება. ესაა ბოლნური ჯვრის მარტივი, არქაული ვარიაცია. ეკლესიას არ გააჩნია რამე წარწერა და არც საისტორიო წყაროებში იხსენიება. თარიღდება VI საუკუნით. ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში აღადგინეს. რესტავრაციისას ცდილან ძველი ფორმების შენარჩუნებას და, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მას თავდაპირველი სახე თითქმის შენარჩუნებული აქვს.

აბაანთის ციხის ეკლესია (VII-VIII სს.). ლიხნის განაპირას, მდ. ხიფსთას მარცხენა ნაპირზე, აღმართულია გალავნით შემოზღუდული ციხესიმაგრის კომპლექსი აბაანთა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამეკლესიიანი ბაზილიკის ნანგრევები. ეკლესიას აღმოსავლეთით შვიდწახნაგა შვერილი აფსიდი ჰქონია, დასავლეთით ვრცელი ნართექსი. წერილობით წყაროებში არ იხსენიება.

ამბარა (VIII-IX სს.). გუდაუთიდან 10 კმ-ზე, სოფელ ამბარაში, ზღვის პირას მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ტაძარი. ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით მოპირკეთებული ეკლესია თითქმის პირვანდელი სახითაა მოღწეული. ტაძარი წარმოადგენს ცალნავიან ნაგებობას ხუთწახნაგოვანი აფსიდით. მისი კედლები თითქმის მთელ სიმაღლეზე კარგადაა შემონახული. ტაძარი მოხატული ყოფილა ფრესკებით. სამხრეთის შესასვლელთან კედელზე ამოკვეთილია ჯვარი. ტაძარს დასავლეთის მხრიდან ჰქონდა კარიბჭე, სამხრეთიდან მიდგმული აქვს წაგრძელებული სამლოცველო ნახევარწრიული საკურთხევლით. როდესაც აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, მას აილაგა-აბიყუ უწოდეს. თავდაპირველი სახელწოდება ჩვენთვის უცნობია. ტაძარი ძალიან დააზიანა 1833 წლის მიწისძვრამ. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით. წერილობით წყაროებში არ იხსენიება.

ძიაჩი (VIII-IX სს). სოფ. ჯგერდიდან რამდენიმე კილომეტრში, ახუწაში, ისტორიულ სოფელ ქიაჩში, შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნაშთები. ტაძარი მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ყოფილა. ხელოვნებათმცოდნეთა აზრით, ქიაჩის ეკლესია მოგვაგონებს გრიგოლ ხანძთელის მონაფეების მიერ აგებულ ნეძვის ეკლესიას (ბორჯომის რაიონი), რაც ძალიან საგულისხმო ფაქტია. ტაძრის მხოლოდ კედლებია შემორჩენილი. იგი მოპირკეთებული ყოფილა კირქვის ტუფით (ტრავერტინით). წერილობით წყაროებში არ იხსენიება. ქიაჩის ეკლესიიდან შემორჩენილია სამწერობელი, რომელიც აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (922-957) სახელს უკავშირდება. ამაზე გვაუწყებს შესაბამისი ქართული ასომთავრული წარწერა. სამწერობელი მოთავსებულია ვერცხლის ბუდეში, რომელიც იმეორებს მის ფორმას. შემორჩენილია ასევე ქიაჩის მთავარანგელოზის ხატი, რომელიც ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657) 1640 წელს მოუჭედინებია. ამის თაობაზე გვაუწყებს წარწერა: „მოვაჭედინეთ და შევამკეთ თვალითა და მარგალიტითა ხატი ესე მთავარანგელოზისა და დავასუენეთ ქიაჩს“.

სამლოცველოებად არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა მღვიმეები და გამოქვაბულები.

გაბრა. მდ. ციხერვას ხეობაში, დამრეც კლდოვან ფერდობზე მდებარეობს წმ. ევპათიოსის გამოქვაბული, რომელიც შუა საუკუნეებში სამლოცველოს წარმოადგენდა. გამოქვაბული კარსტული წარმოშობისაა და ორი ქვაბისაგან შედგება. პირველში შესვლა შესაძლებელია მაღალი, მაგრამ ვიწრო ბაქანზე გამომავალი კარის გავლით, მის სამხრეთით შელესილობაზე ჯვარია ამოკვეთილი; მეორე ქვაბი პირველისაგან გამოყოფილია წყობით, რომელშიც კარის ღიობია დატანილი. ეს ქვაბი უფრო მომცროა და გვირაბით ბოლოვდება.

მდ. მჭიშთას ხეობაში, სოფ. ოთჰარის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 160 მ სიმაღლეზე მდებარეობს ბუნებრივი და სპეციალურად გამოკვეთილი გამოქვაბულები, რომლებიც შუა საუკუნეებში მონასტრად გამოიყენებოდა. კლდეზე, საიდანაც კარსტული მდინარე მჭიშთა გამოედინება, 4-5 სართულად განლაგებულია მცირე ზომის მღვიმეები. დარბაზები ერთმანეთს ქვის კიბეებით უერთდება, აქა იქ შემორჩა ქვითკირით ნაშენი კედლები, კარ-ფანჯრების ჩარჩოების ნაშთები. ერთი დარბაზის მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მ-ია, სიგანე 8-10 მ. დარბაზებში ყველგან აღწევს დღის სინათლე. ძველ დროში აქვე მიშენებულ მონასტერში ბერ-მონაზვნები ცხოვრობდნენ. აქ აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო ნივთები, მათ შორის ზოგიერთი ვერცხლისა.

სიმონ კანანელის მღვიმე. ახალი ათონის მღვიმის ზემოთ, 50 მ სიმაღლეზე მდებარეობს 27 მ სიგრძის გამოქვაბული, რომელიც შუა საუკუნეებში რელიგიური მიზნებისათვის ხელოვნურად არის გადაკეთებული. მღვიმის სამლოცველო დარბაზის იატაკი თლილი ქვებითაა მოპირკეთებული.

ანუხვა. მდ. ფსირცხას მარჯვენა მხარეს, სოფ. ანუხვაში, ადგილ აგწაში ადგილობრივმა მცხოვრებმა 1940 წელს აღმოაჩინა მღვიმე. იგი გამოიკვლია არქეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა. მღვიმე წარმოადგენს 7 მ სიგრძის დერეფანს, რომლის მაქსიმალური სიმაღლე და სიგანე 2-2,5 მ-ია. მღვიმის კედლები შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეების კედლის მხატვრობით და ძველი (V-VIII სს.) ქართული ასომთავრული წარწერებით. როგორც ჩანს, ანუხვის მღვიმეს შორეულ წარსულში საცხოვრისის, ხოლო შუა საუკუნეებში სამლოცველოს დანიშნულება ჰქონდა. მის ძირში ნაპოვნია ხის „აკვანი“, რომელიც ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანად გამოიყენებოდა.

VIII საუკუნის 70-80-იან წლებში აფხაზეთში იმყოფებოდა ქართლის ერისმთავარი ნერსე, რომელსაც არაბი ჭაბუკი აბოც ახლდა. იოანე საბანისძე თხზულებაში ,,აბო ტფილელის მარტვილობა“ ამ ხანის აფხაზეთის სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს, რომ ,,ნეტარი ჰაბო უფროისღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაი იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა“.

აფხაზეთის ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლებს შორის ბევრი ძეგლია დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე. ისინი თვალნათლივ მოწმობენ აფხაზეთის ორგანულ კავშირს დანარჩენი საქართველოს კულტურასთან, რის უარყოფასაც ზოგიერთი აფხაზი და რუსი მეცნიერი ცდილობს.

ამბარას ეკლესია

ხოცა მომღეროლის სფინქსის გრძნობ

საფკეთესო კონცერტმაისტერად აღიარებაც მაშინ მოდის

ნატო კორსანტია

როგორც თავად ამბობს, მისი მუსიკალური კარიერა სიმღერით დაიწყო სოხუმში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. სკოლის პერიოდში ძალიან ბევრს მღეროდა, მონაწილეობდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და ხშირად ოქროს მედლებს იღებდა. დარწმუნებული იყო, რომ მისგან მომღერალი დადგებოდა, მაგრამ კონსერვატორიის ორივე ფაკულტეტის - საფორტეპიანო და ვოკალური - დამთავრების შემდეგ როიალმა წასძლია და კონსერვატორიაშივე დაიწყო მუშაობა კონცერტმაისტერად.

ახლა უკვე კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორია და ახალგაზრდა მომღერლებს კამერული სიმღერის და ვოკალური ანსამბლის შემსრულებლობის ურთულეს სპეციფიკას ასწავლის. „როდესაც თვითონაც ვოკალისტი ხარ, ყოველთვის უფრო იოლია აკომპანიმენტი გაუწიო მომღერალს, რომელიც შენთან დგას სცენაზე. შენ თითქოს გრძნობ მის სუნთქვას და იცი ამა თუ იმ მომენტში, რა უნდა გააკეთოს“, - ამბობს თემურ ელიავა, რომელსაც ალბათ სწორედ ამგვარი მიდგომების გამო, საუკეთესო კონცერტმაისტერის ტიტული რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებზე არაერთხელ მიაკუთვნეს.

მას საუკეთესო კონცერტმაისტერის დიპლომი აქვს მინიჭებული: I და II მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსებზე, (1995 წ., 1999 წ.თბილისი.), დ. ანდღულაძის სახ. ვოკალისტ-შემსრულებელთა I საერთშორისო კონკურსზე (ბათუმი – საქართველო 1997 წ.), ბიულ-ბიულის სახ. ვოკალისტ-შემსრულებელთა I საერთაშორისო კონკურსზე (ბაქო – აზერბაიჯანი 1998 წ.), პ. ჩაიკოვსკის სახ. მუსიკოს-შემსრულებელთა XI საერთაშორისო კონკურსზე (მოსკოვი – რუსეთი, 1998 წ.).

საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. ფლობს მდიდარ საოპერო და კამერულ რეპერტუარს, მაღალი შეფასება მისცეს თემურ ელიავას დახვეწილ საშემსრულებლო ხელოვნებას იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, თურქეთში, ჩეხეთში, რუსეთში. ის პარტნიორობას უწევდა და უწევს სხვადასხვა თაობის არაერთ აღიარებულ მომღერალს.

– ბატონო თემურ, თქვენ არაერთი ქართველი თუ უცხოელი ცნობილი მომღერლის კონცერტმაისტერი იყავით, არაერთი მათგანისთვის გაგიწევიათ აკომპანიმენტი საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებზე და დიპლომებით დაუჯილდოებიხართ. ამასთანავე, თქვენ ხართ პირველი ქართველი კონცერტმაისტერი, რომელმაც ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე საუკეთესო კონცერტმაისტერის დიპლომი დაიმსახურა.

– ეს ჩემი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილია. კონკურსი 1998 წელს ქ. მოსკოვში გაიმართა და მისი თავმჯდომარე იყო აღიარებული საოპერო მომღერალი, მეცო-სოპრანო ირინა არხიპოვა. მაშინ მოსკოვში დარჩენა შემომთავაზეს კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე.

– მერე, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე ხომ არ გინანიათ ეს უარი?

– დიახ, მინანია, რადგან ის მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობა, რაც ჩვენს ქვეყანაში სუფევს, ხშირად მბოჭავდა როგორც შემოქმედს. ამავე დროს არ შემეძლო პოლიტიკის მიღმა დავრჩენილიყავი, რადგან ჩემი ქვეყანა და მისი ბედი არ მაძლევდა ამის ნებას. ამასთანავე, აფხაზეთიდან დევნილი მშობლები თბილისში მყავდა და მათ ვერ მივატოვებდი.

– მოარული გამოთქმაა, რომ მუსიკა ზემოქმედებს ადამიანზე. ჩვენს სინამდვილეში კი, როგორ ფიქრობთ, პოლიტიკა უფრო ხომ არ ზემოქმედებს ადამიანზე, ის ხომ არ ერევა ზოგჯერ მუსიკას, ზოგადად, ხელოვნებას.

– კი, ერევა ხოლმე, სამწუხაროა, მაგრამ ერევა.

– ხომ არ დაგვისახელებდით მომღერლებს, რომელთა პარტნიორიც იყავით.

– პარტნიორობას ვუწევდი სხვადასხვა თაობის მომღერლებს - ზურაბ სოტკილავას, მაყვალა ქასრაშვილს, ნოდარ ანდღულაძეს, ელდარ გეწაძეს, თემურ გუგუშვილს, მიშელინა ქობალიანს, გიორგი ონიანს, ნუგზარ გამგებელს, ალა სიმონიშვილს, ელისაბედ მარტიროსიანს, არმაზ დარაშვილს და სხვ.

კონცერტმაისტერი ვიყავი ასევე მარიკა გულორდავასი, რომელიც წარმოშობით სოხუმელია. მარიკა ჩემი და ჩემი მეუღლის - ქეთის აღზრდილია. ის ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია.

წარმოიდგინეთ, რომ ეს ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც ჩაიკოვსკის კონკურსზე მესამე პრემია დაიკავა, კონკურსის აბსოლუტურად ყველა სპეციალური პრიზის, მაგალითად, მაყურებლის სიმპათიის, რასტაპოვიჩის პრიზის მფლობელი გახდა. და, რაც მთავარია, ქართველი გოგონა ჩაიკოვსკის კონკურსზე იღებს პრიზს ჩაიკოვსკის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის. ის თვით რუსებს ჯობნის ჩაიკოვსკის ნაწარმოების შესრულებაში. ეს უპრეცედენტო მოვლენაა და ბევრ რამეზე მეტყველებს.

შემდეგ ჩვენ წავედით ესპანეთში, მონსერატ კაბალიეს კონკურსზე. დაუვიწყარი დღეები იყო, როდესაც ურთულეს კონკურსში პირველ პრემიას იღებ. თვითონ მონსერატ კაბალიემ დაგვიბარა და მარიკა გულორდავას ნიჭიერებით აღფრთოვანება ვერ დაფარა. მერე, როცა პაატა ბურჭულაძემ „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტზე მონსერატ კაბალიე თბილისში მოიწვია, კონცერტის დროს თვით მონსერატმა გამოაცხადა: - ახლა გამოვა გოგონა, რომელიც სულ მალე მსოფლიოს დაიპყრობსო. ეს იყო მარიკა გულორდავა. მე ძალიან მიხარია, რომ ის არის აფხაზეთის მკვიდრი, სოხუმში დაბადებული.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ჩემი სტუდენტი საზღვარგარეთ არის წასული და იქაურ წამყვან თეატრებში მღერის. ერთი ასეთი პროექტი მაქვს ჩაფიქრებული და მინდა აუცილებლად განვახორციელო. კერძოდ, ჩემი ყოფილი სტუდენტები, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან დაფანტულები, ერთად შევკრიბო თბილისში და მათი მონაწილეობით გალა-კონცერტი გავმართო.

– ძალიან საინტერესო იდეაა.

– საინტერესოა, თუმცა მისი განხორციელება ადვილი არ იქნება. თითოეულ მომღერალს განსხვავებული გრაფიკი აქვს. კონცერტი კი მათი გრაფიკის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს, ისე რომ ყველას ეცალოს.

– ეს თქვენი საანგარიშო კონცერტი იქნება?

– არა, საანგარიშო კონცერტი - ჩემი კლასის კონცერტი ყოველ წელს მაქვს. ისევე როგორც ჩემი კოლეგები, მეც ანგარიშით წარვსდგები ხოლმე მსმენელის წინაშე და დიდ ქება-დიდებას ვიმსახურებ. ბედნიერი ვარ ამის გამო და მერე კიდევ უფრო ვცდილობ, არ დავუკარგო ჩვენს სტუდენტებს ის, რისი შესაძლებლობაც აქვთ, ანუ მაქსიმალურად დავეხმარო ნიჭის გამოვლენაში. მე გამიმართლა, რომ ყოველთვის საუკეთესო სტუდენტები მყავს და ბევრი მოილტვის ჩემკენ, განცხადებას წერენ, რომ ჩემთან მოხვდნენ.

– პიანისტის სოლო-კარიერის გაკეთებაზე არ გიფიქრიათ?

– პიანისტის სოლო-კარიერა ურთულესია. პიანისტმა 10-12 საათი თუ არ იმუშავა, არაფერი გამოუვა. თუმცა, მერე როცა დაღვინდება, 4-5 საათიც ეყოფა. ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. საზღვარგარეთ გასვლები კი ისედაც არ მაკლია, ევროპის ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი ძალიან სერიოზული კონცერტებით, ძალიან სერიოზულ კონკურსებში ვმონაწილეობდი.

– თქვენ ძალიან საინტერესო მუსიკალური ოჯახი გაქვთ - თქვენ, თქვენი მეუღლე - ქალბატონი ქეთი და სიდედრი - ქალბატონი ლამარა გოგლიჩიძე - სამივენი კონსერვატორიის პედაგოგები (პროფესორები) ბრძანდებით. ბოლო წლებში მუსიკალურ სამყაროს შემოემატა თქვენი ვაჟი - მიშოც, რომელიც თითქოს პროფესიონალი მუსიკოსი არ არის, მაგრამ უკვე ჰყავს თავისი გულშემატკივარი. რა მოხდა, გენმა იძალა?

– მოულოდნელი თითქოს არ იყო, მიშო ბავშვობიდან მღეროდა და კარგი ყური ჰქონდა. 2 წლისაც არ იყო, როცა როიალთან დავაყენებდით და არიებს, საორკესტრო ნაწყვეტებს მღეროდა. საოცარი რეპერტუარი ჰქონდა; საყვირსა და ვიოლინოს ბაძავდა. ბოლოს ყოველთვის ითხოვდა ტაშს. ამისი ჩანაწერიც შემოგვრჩა. იმ დღიდან, როგორც კი სამშობიაროდან გამოვიყვანეთ, მიშოს ეძინა იმ ოთახში, რომლის გვერდითა ოთახშიც იდგა როიალი. იქიდან 24 საათის განმავლობაში გამოდიოდა მუსიკისა და სიმღერის ხმა. მიშოს კი ეძინა ძალიან მშვიდად. ჩვენ არასოდეს გვქონია შიში, ბავშვს ძინავს და ჩუმად ვიყოთო.

მერე, ფორტეპიანოზე, რომ დაიწყო სიარული, დაეზარა, საათობით ვერ დავჯდებიო და თვითონ ისწავლა გიტარაზე დაკვრა. მოგვიანებით ესტრადამ გაიტაცა, მეგობრები დასხდნენ და შექმნეს ჯგუფი, რომელსაც „Ynner Voice“ - „შინაგანი ხმა“ დაარქვეს. ძალიან პოპულარული ჯგუფი იყო, კონკურსებსა და ფესტივალებზე გამოდიოდა. ერთხელ კი, 31 დეკემბერს მიშომ საახალწლო კონცერტზე იმღერა და იმის შემდეგ სხვა მიმართულება მიეცა მის შემოქმედებას: სოლო-კარიერას მინდა გავყვე ესტრადის განხრითო, გამოაცხადა.

მე და ჩემს მეუღლეს, რა თქმა უნდა, გვინდოდა, კლასიკურ მუსიკას გაჰყოლოდა, მაგრამ მის არჩევანს პატივს ვცემთ და როგორც ჩანს, არც ისე ურიგო არჩევანი გააკეთა, „X ფაქტორში“ გამოსვლამ და ფინალში

გასვლამ ეს ცხადყო კიდეც.

– თქვენ ერთხელ ნახევრად ხუმრობით თქვით, რომ აქამდე მიშო ელიავა იყო თემურ ელიავას შვილი, ახლა უკვე თემურ ელიავა გახდა მიშოს მამა.

– კონსერვატორიაში გავიგონე, სტუდენტები ერთმანეთს ანიშნებდნენ ჩემზე: - ეს ხომ მიშო ელიავას მამააო. რა მეთქმის, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა. წარმატებებს ვუსურვებ მიშოს.

– მიშოს სოხუმზე თუ ელაპარაკებით ხოლმე?

– მამაჩემი ელაპარაკებოდა ხშირად და ძალიან ბევრს სოხუმზე. მეც ვეუბნები, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ იმ სამოთხეში.

– როცა აფხაზეთის ტრაგედია დატრიალდა, თქვენ იმ დროს უკვე თბილისში მუშაობდით, თქვენი ადგილი ნაპოვნი გქონდათ. თითქოს დევნილი არ იყავით და მაინც დევნილის ტკივილით იცხოვრეთ და ცხოვრობთ.

– დიახ, ახლაც არ ქრება ტკივილი, რომელსაც ყოველთვის მიმძაფრებდნენ მშობლები. მათთან ყოველი მისვლა სოხუმის გახსენებით იწყებოდა და იწყება. განსაკუთრებით დედა, რომ იტყვიან, გამუდმებით ჩემოდანზე იჯდა - ახლა დავბრუნდებით, ახლა დავბრუნდებითო. მამას ეს ტკივილი იმ ქვეყნადაც გაჰყვა.

ტკივილი მოურჩენელია, თითქოს პერიოდულად ყუჩდება, მერე ისევ მძაფრდება. არ ვიცი, სხვები როგორ არიან, მაგრამ სიზმარში ხშირად ვხედავ სოხუმს, სადღაც გავრბივარ, სირბილი მიჭირს და ვიღაც მომსდევს.

რა უცნაურია, ჩვენ ახლა უფრო ვაფასებთ, რა სამოთხეს წარმოადგენდა აფხაზეთი. მსოფლიოში ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთი სილამაზე არსად მინახავს. ზღვა, მთა, ბარი, ტბები, საოცარი ჰაერი... იქ ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი. ეს სილამაზე ქართულია და ქართულად უნდა დარჩეს იქ მცხოვრებ აფხაზებთან ერთად.

გიორგი ესებუა

მინიატურა ელეგანტური ჟანრია, ნატიფი და დახვეწილი, ტევადი და ლაპიდარული, ღრმა განცდისა და დიდი ტკივილის, შუქისა და იმედის დამტევი.

პოეზიისა და პროზის საზღვარზე ვიბრირებს, ოღონდ ბოლომდის არც პოეზიაა, არც პროზა – პოეზიისა მუსიკა დაჰყოლია, პროზისა – ტევადობა...

სწორედ ეს ჟანრი აურჩევია განცდათა რეფლექსიისათვის ბიჭს, რომელიც სოხუმში უნდა დაბადებულიყო, თბილისში კი დაიბადა, 1997-ში.

არასოდეს უნახავს მთავარი ქალაქი, მაგრამ ასწავლეს, აგრძნობინეს და დაიმახსოვრა, რომ ის მთავარია, თუნდაც შორს იყოს, თუნდ – ამჟამად სხვისი.

მინიატურად დაწურული ნაფიქრალი ესკიზებია გიორგი ესებუასი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მეორეკურსელისა.

სოხუმში ასეთი ბიჭები იბადებოდნენ – სხივიანები.

ასეთი ბიჭები დაბრუნდებიან და დაიბრუნებენ ოდესმე სოხუმს – სამყაროს ყველაზე სხივიან

***

სად იყუჟები ჩემს დიდ, თეთრ სახლში,
რომელიც დაწვეს
(მეც, მასთან ერთად – დაბადებამდე)?!
ნაბიჯების ჩქამი მახსოვს საფეხურებზე –
მონაყოლიდან...
სიზმრის სარკმლიდან შემოჭრილი ცხელი სხივები...
რბილი ლოგინი, ალბათ, გჩუქნის საჩემო სიზმრებს.
რა გესიზმრება ჩემს უჩემო საძინებელში?!
შენ ჩემით ცხოვრობ,
ჩემ მაგივრად, უჩემო სახლში...
შენი და ჩემი დის სარკეში გაილანდება,
ალბათ, და, იქნებ, ჩუმად დღიურებშიც იწერდეს
ლექსებს
და ცრემლებივით უბრწყინავდეს
დედაჩემის
ლურჯი
საყურე...
ეზოდან, ალბათ, ყველა ჩიტი გადაიხვეწა,
დამწვარ ხეებით გაწვალებული...
არ იპარები ღამღამობით ღია სარკმლიდან
ღია ზღვისაკენ?!...
გყოფნის ჰაერი?!.

***

არაფერია გრძნობაზე საშიში (თუ სიცხით
გაგიჟდი) –
მოგეკიდება, მოგედება ცეცხლად შენ – გამხმარ
ბალახს –
იმდენად სწრაფად, ვეღარც მიხვდები,
იმდენად მწვავედ, ვეღარც იყვირებ...
`ხვალე თორნესა შთაეგზნისო~, დაწერილია,
მაგრამ უცეცხლოდ საბრალოა ლურჯი ბალახი –
რა უღიმღამოდ ჩახმებოდა...
ახლა – ბრიალებს...
`ხმელს ნედლად შეიქმს~,
თუ მოინებებს
ბალახისა და ცეცხლის უფალი...

***

იშხნის გუმბათი – ჩაქცეული, ხავსგადავლილი...
მე არ ვიცოდი, რა უნდა მეგრძნო –
ის ჩემი იყო
და აღარც იყო
და მაინც იყო...
ხავსი იცავდა – დაუჯდომელი, შემდგარი ქვაზე...
ქვად იქცა გულიც, მერე – დაიმსხვრა.
მზის სხივები ეშვებოდნენ საკურთხეველში,
ნაფრესკალებზე,
და ბევრი, ბევრი თეთრი მტრედი...
საყდრის დარდიან სიმყუდროვეს,
გუმბათის ღრმა ლურჯს,
ცის სილურჯეს ნაგუმბათარში
რა აამღვრევდა?

***

ბნელა რიკოთზე...
კერიაზე დამქრალა შუქი
და სითბო მხოლოდ მოგონებაა...
ჩამოიქცევა ოდესმე სახლი მიტოვებული (არა ხსოვნაში),
ვიღა მოისმენს მამლების ყივილს,
ან კარზე ვიღა დააკაკუნებს?!
აქ სტუმარი მხოლოდ ქარია...
შედის, წუხს, ჩუმად მობორიალე,
და მერე გადის
(იქნებ, არც – რჩება უხილავი მდუმარე სახლში)...
იქნებ, ტყუილში სჯობს ცხოვრება,
იქნებ, სჯობს ფიქრი –
ბნელ სახლში ყველას, უბრალოდ, ძინავს?!...

***

მთისპირეთის ცივი ჰაერი...
თოვლის ფიფქებით სავსე თვალები...
და სადღაც, თოვლში – თოვლზე უფრო თეთრი გოგონა...
დამძიმებული ფიფქით წამწამი...
სიზმარი?! ცხადი?!
ავიცხადებ-თქო...
ვხატავდი... ვწვავდი...
და თავი მძულდა – ფიფქს ცხადი ადნობს,
ცხადის ღადარი...
ზმანებად მოდის... დაფიფქული... ფიფქივით ჩუმად...
ჩაფერფლილი ტილოებით სავსე ბუხარი
შემომხარხარებს...

***

ნარცისს იოლად ელევა კნეინა,
ნადირს ელის –
ღრჯუ, ბალნიან, მაძღარ ჯაყოს –
გაქონილი თითებიდან რომ ყველაფერი უსხლტება –
მარგოსა და ქართლის გარდა...

***

ბაბუას

მტვრიან ქუჩაში რკინის ჯოხის კაკუნი ისმის
(ცარიელია ქუჩაც, სახლიც, სულიც, სამყაროც),
გაჰყრის ნაპერწკლებს – მხურვალს, ცრემლიანს...
ახლა ჩემია მისი ჯოხი...
მივითრევ ფეხს და მივდივარ მისკენ,
მაგრამ ვიცი – ვეღარ მივაღწევ,
ვემშვიდობები, მაგრამ – დროებით...
ვიცი, აქაა... ვპოულობ... ვკარგავ... ვკარგავ... ვპოულობ...
არა ვარ მარტო – ზმანებებშია... ფიქრებშია...
(მომენატრება ბავშვივით ძილი მის თბილ მკლავებში)...
გარეთ – სიცივე, სიჩუმე, მთვარე, სიმშვიდე,
ღამე და
მქრქალი, მქრქალი, ოდნავი ნისლი –
ძენძილი თალხი...
სულში ცრემლი წვიმს...

***

ტალახში ვწევარ და ახლა ვხვდები –
ყივჩაღი ასე უნდა კვდებოდეს...
განა სიკვდილის მეშინია?!
მხოლოდ ის მაფრთხობს –
ვერასდროს ვნახავ...
მინდა ვიფიქრო (მოვკვდე ამ ფიქრით) –
მოსვლა, უბრალოდ, დაუგვიანდა...

***

ზია-ხანუმი მთვარესავით შორია და მიუწვდომელი...
ნაზიბროლა – ბროლივით ნაზი –
ნაზი ბროლივით ბრწყინავს ფაცხაში...
ბროლია ცრემლიც
(ოღონდ – ცხელი ბროლია ცრემლი)...
ქვაგულის ყინულს ცხელი ბროლი – ცრემლი ვერ ალღობს...
იმსხვრევა ბროლი...
ნამსხვრევებს ბათუ აკრეფს...

***

დასაწერია
`ხედი სარკმლიდან~ –
თავისუფალი
(არა ხედი, არამედ თემა)...
არ მეწერება...
სარკმლებზე ვფიქრობ...
ხედი ორია...
იქ სარკმელში
ზღვა იბრწყინებდა
და მირაჟები, მირაჟები...
აქ სარკმელში –
გარაჟები მეხეთქებიან...

მტვერი არ ბრწყინავს
და თემას ვერ ვწერ...

ზეცა არ მწირავს
და ვხედავ
ხედს –მტრედებს – მტვერში...
დაწერილია...

***

ღვთის წყალობაა თუ სასჯელი
ეს სიყვარული?!
სუყველაფერი შემიძლია და თან – არაფერი...
მეფობა არ მსურს –
შორენას მაშორებს...

ცეცხლში ნავლები, ოქროსფერი თმა
გულს მიფერფლავს,
მზერა ზღვისფერი...
მხოლოდ ცეცხლს და ზღვას შემიძლია უსასრულოდ,
მშვიდად ვუმზირო,
ყველაფრით დაღლილ-გაბეზრებულ-გულამრეზილმა...
კედლებმა რომ არ დამაბრმავონ,
ვიპარები ქალაქში ღამით...
სიყრმეს ვიგონებ...

...ტაძრის გალავანს შვიდი წლისამ ვუპოვე ბზარი და
სამყაროსთან მარტო დავრჩი,
სრულიად მარტო...

შეშინებულ-შემკრთალი ბავშვი გამოსავალს უკეთ
ვხედავდი,
ვიდრე დღეს – მეფე...

ახლაცეცხლია, ნაავდრალი ზღვა...
ცეცხლი... წყალი...
წყალი... მეწყერი...
...

...როგორ ვიქნებოდით ერთად?!
ჩვენ შორის მთელი საქართველო იდგა...

***

იდეალური შემოდგომაა – ნოემბერია
(შემოდგომა აჭარბებს საკუთარ თავს).
მთელი სამყარო ფოთლების სუდარაა.
პანაშვიდია.
ხეების რკალი...
ცრემლი ფოთოლია...
ბევრია ცრემლი.
სიკვდილიც გზაა –
კიბისაღმწერლის კიბესავით ძნელი, მაღალი...
ყოველ საფეხურს ახალი ძალა სჭირდება
და ახალი მადლი...
ნოემბერში მზეც კი იღლება,
თავისთვისაც სჭირდება სითბო –
მარად გამღები, დიდხანს ვერ გაძლებს...
ძალის ნარჩენით
ამაოდ ცდილობს ხის განედლებას...
ვერაფერს შველის
უღონო სხივი...
სრული სიბნელეა ტყეში
და
გაძევებული მზე...

გამოფენა „სფუმატო“

ჰერფორმანსები „ცხოვრებისა და შემოქმედების შერწყმაზე“

მაია შონია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეამ თანამედროვე ხელოვნების გამოფენას, სახელწოდებით „სფუმატო“ უმასპინძლა. ხელოვნებაში ლეონარდო და ვინჩის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „სფუმატო“ ფერთა რბილ გადასვლას, ბურუსს ნიშნავს. თანამედროვე ხელოვნებაში კი „სფუმატომ“ გააერთიანა ნამუშევრები, რომლებიც ვითარებასთან ძალდატანების გარეშე შერწყმის, მოცემულობის გარდაუვალი აღქმის კონცეფციით იყო შექმნილი.

გამოფენა „სფუმატო“ აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მხატვარმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა გახსნა. წარმოდგენილი ნამუშევრების არსსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სანკტ-პეტერბურგში არსებული ნონკონფორმისტული ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელმა იულ რიბაკოვმა. გამოფენის გახსნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და ხელოვანები ესწრებოდნენ.

გამოფენა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის, ასევე სანკტ-პეტერბურგში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების - მედია-ლაბორატორიის CYLAND და არტ-ცენტრის „ПУШКИНСКАЯ - 10“ ორგანიზებით გაიმართა.

მედია-ლაბორატორია CYLAND არის სამხატვრო ლაბორატორია, რომელიც 2007 წლიდან, ანუ დღიდან დაარსებისა, ეწევა არაკომერციულ საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია ხელოვნების ტექნოლოგიების სფეროთა გადაკვეთის გაფართოებაზე ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალების, ვიზუალური გამოფენების, საუნდ-არტების, ვიდეოარტების და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. მან გააერთიანა მხატვრები, კრიტიკოსები, კურატორები, პროგრამისტები, ინჟინრები და მედია-აქტივისტები მთელი მსოფლიოდან. მედია-ლაბორატორიამ CYLAND ვალერი არქანიას არტ-გალერეაში, გამოფენა „სფუმატოზე“ წარმოადგინა ელენა გუბანოვას, ივან გოვორკოვის, ალექსანდრა დემენტევას, ლუდმილა ბელოვას, ანნა ფრანცის, ალექსანდრ ტერებენინის, ალექსანდრ შიშკინ-ხოკუსაის, სერგეი კომაროვის, ალექსეი გრაჩოვის, ვიტა ბუივიდ და ნატალია ლიახის ინსტალაციები.

არტ-ცენტრის „პუშკინსკაია - 10“ ისტორია დაიწყო 1989 წელს დამოუკიდებელ მხატვართა, მუსიკოსთა და ანდერგრაუნდის სხვა მოღვაწეთა გაერთიანებით, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ დაცლილ სახლში დასახლდა. დღეს არტ-ცენტრი წარმოადგენს ანდერგრაუნდის ხელოვანთა შემოქმედებითი სახელოსნოების, არტ-ლაბორატორიების, გალერეებისა და ექსპერიმენტალურ საკონცერტო მოედნების ერთგვარ კონფედერაციას. არტ-ცენტრის შემოქმედებითი, საგამოფენო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა მიმართულია თანამედროვე ხელოვნების წინსვლისა და განვითარებისთვის. არტ-ცენტრმა „ПУШКИНСКАЯ - 10“ ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში დამთვალიერებელს შესთავაზა ცნობილი სანკტ-პეტერბურგელი მხატვრებისა და ფოტოგრაფების - ანდრეი ჩეჟინის, ბორის სმელოვის, ალექსანდრე რეცის, ალექსანდრე სოკოლოვის, სერგეი ფალინის, სერგეი კოვალსკის, ანდრეი (ვილი) უსოვის ნამუშევრები.

ნუგზარ მგალობლიშვილი, მხატვარი: - „სფუმატო“ იტალიური სიტყვაა და ბურუსს ნიშნავს. ლეონარდო და ვინჩიმ თავის ტექნიკას ფერწერაში „სფუმატო“ უწოდა იმიტომ, რომ მას უნდოდა, არ ყოფილიყო კონტრასტები, ხაზები და რბილად გადასულიყო ფერები ერთმანეთში. ამას ის თითით აკეთებდა. „სფუმატო“ ჩვენს არტ-გალერეაში წარმოდგენილ გამოფენას დიდი მხატვრისადმი პატივისცემის ნიშნად უწოდეს. მაგრამ გამოფენა „სფუმატო“ სულ სხვა რამ არის, რომელზეც წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნება. ნამუშევრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ცხოვრება და ხელოვნება უნდა იყოს შერწყმული, რასაც ისინი ექსპოზიციაზე წარმოდგენილი პერფომანსებით აღწევენ. ეს არ არის დაზგური ხელოვნება. ამ ობიექტების შექმნაში კომპიუტერი, ელექტრონიკა, ინჟინრები და სპეციალისტები მონაწილეობენ, რათა

ნონკონფორმისტულ ხელოვნებას სწავლობენ ხელოვნების ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები მთელი მსოფლიოდან. სანკტ-პეტერბურგში ჩემი პერსონალური გამოფენის პარალელურად, იქ მცხოვრები ქართველი მხატვრების გამოფენაც გაიმართა, რომელსაც „საქართველობა“ ვუწოდეთ. სწორედ მაშინ დაიბადა აზრი, რომ ჩვენ უნდა ვცვლიდეთ გამოფენებს. იმედი მაქვს, მომავალში ჩვენთან ნონკონფორ-

ზოგჯერ მოძრავი - კინეტიკური, ზოგ შემთხვევაში კი უძრავი, მაგრამ სიცოცხლე შემატონ ამ ობიექტებს. პროპორციებს, ფორმას და მსგავს რაღაცებს მხატვრები განსაზღვრავენ. ექსპონატები ჩამოვიდა სანკტ-პეტერბურგიდან, ბალტიისპირეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეს მხატვრები თანამშრომლობენ ნონკონფორმისტული ხელოვნების ცენტრთან, რომელიც არსებობს სანკტ-პეტერბურგში და რომლის ხელმძღვანელიცაა იულ რიბაკოვი. ორი წლის წინათ სანკტ-პეტერბურგში ამ ცენტრის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალზე პერსონალური გამოფენით მეც ვიყავი მიწვეული. 40 ნამუშევარი (ფერწერა) მქონდა გამოფენილი. იულ რიბაკოვს მანამდეც ვიცნობდი. იგი არის ცნობილი დისიდენტი, მერაბ კოსტავას და ასევე ჩემი მეგობარი. ძალიან უყვარს საქართველო. იგი არის ადამიანის უფლებათა დამცველი (რისთვისაც 7 წელი ციხეშიც იჯდა), პროფესიონალი ფერმწერი, შესანიშნავი მხატვარი. მან შექმნა თავისუფალი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც არის ერთადერთი მთელ დუნიაზე, სადაც მისტული ცენტრის მუზეუმში დაცული ექსპონატების გამოფენაც მოეწყობა.

იულ რიბაკოვი, სანკტ-პეტერბურგის ნონკონფორმისტული ცენტრის ხელმძღვანელი: - ეს ჩვენი პროექტის მხოლოდ დასაწყისია, პირველი ნაბიჯია, პირველი გამოფენაა. ჩვენ ვაპირებთ მოვიწვიოთ სხვა ხელოვანებიც და უახლოეს მომავალში გავმართოთ ფერწერული ტილოების, ქანდაკებების, თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის გამოფენები საქართველოში. ქართველებიც იყვნენ ჩვენთან მოწვეული და ჰქონდათ გამოფენები. საკმაოდ რთულია ნამუშევრების ჩამოტანა. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ ფორმალობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ამ სირთულეებმა და პოლიტიკოსებმა ხელი შეუშალონ ჩვენს მეგობრობასა და სიყვარულს, ჩვენს კულტურულ ერთობას. ქართული და რუსული კულტურული ურთიერთობები იმდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ მისი გათიშვა შეუძლებელია.

ბანაკები დევნილი მოსწავლეებისათვის

მაია შონია

,,საგანმანათლებლო - საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის“, - ასე ერქვა პროექტს, რომელიც აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ზაფხულში განხორციელდა. ბანაკში აფხაზეთის საჯარო სკოლების 40-მა მოსწავლემ დაისვენა. კარვების ქალაქი კი მათთვის გორის რაიონში, კერძოდ, ატენის ხეობაში, მდინარე ტანას მახლობლად მოეწყო.

მოსწავლეები ხუთი დღის განმავლობაში მონაწილეობდნენ როგორც შემეცნებით, ისე სპორტულ-გასართობ ღონისძიებებში. მათთვის მოეწყო ლაშქრობები ხეობაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე, რომელთა მაგალითებზეც მოსწავლეები გაეცნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დათარიღებისა და მახასიათებლების აღქმის მეთოდებს.

აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები სოციალური პირობების გამო ნაკლებად არიან ჩართულნი საქართველოს ისტორიული ადგილების გაცნობა-შესწავლის პროცესში. ამდენად, ისინი სათანადოდ არ იცნობენ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. პროექტი ,,საგანმანათლებლო - საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის“ სწორედ ამ დანაკლისის შევსებას ისახავდა მიზნად.

პროექტის წყალობით, მოსწავლეებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მისი დათარიღების შესახებ; ხელი შეეწყო ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებას საქართველოს ისტორიული ადგილების გაცნობა-შესწავლის კუთხით. მოზარდებმა შეიძინეს ისტორიულ თემების კვლევებისთვის საჭირო ჩვევები, გამოიმუშავეს გუნდური მუშაობისათვის აუცილებელი უნარები და ა. შ.

ბანაკში ძირითადად ომის ვეტერანთა, სოციალურად დაუცველთა, მრავალშვილიანთა და კომპაქტურად ჩასახლებულთა ოჯახების შვილები იმყოფებოდნენ. ასევე იყვნენ მოსწავლეები კონფლიქტის ზონებიდან - გალიდან და სამაჩაბლოს რეგიონიდან.

ირაკლი გელენავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი:

- ეს იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების ბანაკი, რომელიც მოსწავლეების სხვადასხვა საკითხში ინფორმირებასა და ცოდნის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ბავშვებმა მოინახულეს წეროსხევის ეკლესია და ატენის სიონი. მათ მეგზურობას უწევდა ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, რომელმაც მოსწავლეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ამ ძეგლების როგორც ისტორიული, ისე არქიტექტურული ღირებულების შესახებ. ბავშვები ცხოვრობდნენ კარვებში, ეჩვეოდნენ საველე პირობებში ცხოვრების წესებს. ჩვენი პარტნიორი იყო კოდის სათემო განათლების ცენტრი. ამ ცენტრის მოხალისეებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს ტრენინგები სამოქალაქო განათლების საკითხებზე, გამართეს გასართობი ღონისძიებები.

ჩვენი სამსახურის თანამშრომლებმა კი მოსწავლეებს ჩაუტარეს სემინარი ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობდნენ „მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენელებიც. ბანაკმა ხელი შეუწყო მოსწავლეების დამეგობრებას. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან აქ იყვნენ მოსწავლეები როგორც გალიდან, ისე სამაჩაბლოს რეგიონიდან. ჩავინიშნეთ მოსწავლეთა შენიშვნები, ინტერესები, რომლებსაც მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებთ.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაფინანსებით წლეულს კიდევ ერთი საზაფხულო ბანაკი მოეწყო. სამინისტროს პროექტ ,,საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების 30-მა მოსწავლემ ქობულეთში დაისვენა.

ბანაკის მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული საგანმანათლებლო აქტივობებში და სპორტულ-გამაჯანსაღებელ შეჯიბრებებში. ,,საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში შედგა ვიზიტი საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“, სადაც მოსწავლეები გაეცნენ პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებსა და ინფორმაციას. ეს ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს შორისაა მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო და სასტუმროს საქმისმწარმოებელი, შემდუღებელი, ამწის ოპერატორი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი, მასაჟისტი და სხვ.

გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ეკო-გაკვეთილები და ტრენინგები ჩაუტარეს.

მსგავსი და სხვა ხასიათის საზაფხულო ბანაკების მოწყობას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო მომავალ ზაფხულსაც გეგმავს.

აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნას მიეძღვნა

ქ. თბილისში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის ძიუდოს ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში 2001-2001 და 2003-2004 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ტურნირში მონაწილეობდა 400 მდე სპორტსმენი ქ. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ტურნირზე აფხაზეთის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და შემდეგი ადგილები მოიპოვეს: I ადგილი - ჩაქსელიანი მამუკა - 35 კგ. წონით კატეგორიაში; III ადგილი - ნაცვალაძე თამაზ, 35 კგ წონით კატეგორიაში; III ადგილი - ლობჟანიძე ალექსანდრე, 55კგ. წონით კატეგორიაში; II ადგილი - ლობჟანიძე ლუკა, 60კგ. წონით კატეგორიაში; II ადგილი - მაისურაძე გუგა, 73კგ. წონით კატეგორიაში.

ტურნირს ესწრებოდნენ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლები, აფხაზეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ომარ მარგიანი, საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ჯანდრი უბირია, აფხაზეთის ვეტერანთა სამსახურის წარმომადგენლები თამაზ ინალიშვილი და ზურაბ შამუგია.

გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში

ქ. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით, ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში (სწრაფი ჭადრაკი). შეჯიბრში მონაწილეობდნენ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდები, ასევე მოწვეული სპორტსმენები. შეჯიბრს ესწრებოდნენ საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე როლანდ ნიჟარაძე.

დაძაბულ პაექრობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და გოგონებსა და ვაჟებში ადგილები ასე გადანაწილდა:

გოგონებს შორის: I ადგილი - მარიამ ფარულავა, II ადგილი - ანა შელია, III ადგილი - ელენე შელია;

ვაჟებს შორის: I ადგილი - ილია კავკასიძე, II ადგილი - საბა შელია, III ადგილი - ვახო ფერაძე.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ და პრიზიორ სპორტსმენებს გადაეცათ თასები, მედლები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

აფხაზეთის ნორჩ მოფარიკავეთა ნაკრებმა ბათუმში წარმატებით იასპარეზა

ქ. ბათუმში მოეწყო ვეტერანი მოფარიკავის დავით ხიტირის სახელობის თასის გათამაშება ფარიკაობაში. გათამაშებაში აფხაზეთის ნაკრები გუნდიც (მთავარი მწვრთნელი ზურაბ ლოლუა) მონაწილეობდა. აფხაზეთის მოფარიკავეებმა საინტერესო ორთაბრძოლები ჩაატარეს და დაძაბულ პაექრობაში შემდეგი ადგილები დაიკავეს: ლუკა ლომინაძე - პირველი ადგილი, ხმალი (2001-2002 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის); დაჩი მირველაშვილი - მესამე ადგილი, ხმალი (2005-2006 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის); ალექსი თავართქილაძე - პირველი ადგილი, ხმალი (2005-2006 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის).

გუნდურ პაექრობაში კი აფხაზეთის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ჟიული შარტავას სახელობის პირველი სტიპენდიანტი გამოვლინდა

მაია შონია

წლეულს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია დააწესა. სტიპენდია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის დაწესდა და გაიცემა დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

სტუნდეტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომების შეფასების შემდეგ ჟიული შარტავას სახელობის პირველი სტიპენდიანტი გახდა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი მაია ახალკაციშვილი. მისი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი აფხაზეთის თემატიკაზეა და „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და ინტეგრაციის პერსპექტივები“ ჰქვია.

თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და ინტეგრაციაზე“ ფიქრს იწყებს და ამასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს თაობა, რომლის მხრებზეც გადავა, როგორც ჩანს, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სიმძიმე.

ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ახლახან მაია ახალკაციშვილს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მინიჭება მიულოცა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დიპლომი გადასცა.

ამ ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ირმა შიოშვილი.

ვახტანგ ყოლბაიამ და დიმიტრი ჯაიანმა საქართველოს ეროვნული გმირის სახელობის სტიპენდიის დაწესების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ სტიპენდიის დაწესების მიზანია, მომავალმა თაობამ უფრო მეტი იფიქროს აფხაზეთზე, იკვლიოს მისი ისტორია და მნიშვნელობა გლობალურ პოლიტიკაში, იპოვოს საკუთარი ადგილი აფხაზეთის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში.

2-ART ანუ ორი მხატვრის სამყარო

ნატო კორსანტია

2-ART ასე ჰქვია ორი მხატვრის სახელოსნო-სალონს, რომელსაც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ნახევრადსარდაფში დაუდვია ბინა. 2-ART ანუ ორი ხელოვნება, თითქოს თავსთავად მიანიშნებს შინაარსზე, თუმცა დაზუსტებას მაინც ითხოვს: ეს არის ორი მხატვრის სახელოსნო-სალონი. სალონიც იმიტომ, რომ აქ სტუმრობა თავისთავად გულისხმობს არა მხოლოდ ამ ორი მხატვრის ნამუშევრების დათვალიერებას და მათი მუშაობის პროცესისთვის თვალყურის მიდევნებას, არამედ საუბარს ზოგადად მხატვრობაზე, ხელოვნებაზე, საკუთარ შემოქმედებაზე და იმაზე, მძიმე ყოველდღიურობით გადაქანცულ სინამდვილეში, როგორ იპოვო შვება ხელოვნებაში. და ერთიც, ვინც ამ სახელოსნო-სალონს აღმოაჩენს და იქ ჩასასვლელ ოთხიოდე საფეხურს ჩაუყვება, მისთვის ნაცრისფერი სინამდვილე უცებ ისე გაფერადდება, რომ უკან ისევ იმ სინამდვილეში დასაბრუნებლად აუცილებლად ფეხს აითრევს.

დადგა დრო (თუმცა ეს თავშივე შეიძლებოდა), ვახსენოთ ის ორი მხატვარი, რომელთაც ერთმანეთის შემოქმედება კი არ „აფრთხობთ“ და აღიზიანებთ, არამედ ავსებთ და ახარებთ.

ამირან კუპრავა და დათო ბაძაღუა - განსხვავებული ბიოგრაფიისა და ხელწერის მხატვრები არიან. ხოლო ამბავზე, როდის, როგორ და რანაირად აღმოჩნდნენ ისინი ერთად, ერთ შემოქმედებით სივრცეში, უმჯობესია თავად მოგვითხრონ:

ამირან კუპრავა, მხატვარი:

- ევროპიდან, კერძოდ, გერმანიიდან ახალი ჩამოსული ვიყავი (იქ 1993- 2013 წლებში ვცხოვრობდი). სახელოსნო მქონდა ძალიან პატარა, გეგმა კი დიდი - საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მინდოდა გამეკეთებინა მონუმენტური ხასიათის სურათების გამოფენა.

ბერლინის საკათედრო ტაძარში ერთი წლის განმავლობაში მქონდა სახელოსნო და უამრავ მნიშვნელოვან გალერეასთან ვთანამშრომლობდი. საქართველოში კი დავბრუნდი იმის იმედით, რომ ევროპაში მიღებულ გამოცდილებას და დაგროვილ სათქმელს ახლა უკვე ჩემს ქვეყანაში ვიტყოდი, ტილოზე გადმოვიტანდი. თუმცა თავიდანვე დაისვა კითხვა, სად უნდა დახატულიყო ეს ტილოები? მშრალ ნიადაგზე ხომ ვერაფერს შექმნი.

სწორედ ამ პერიოდში ჩემს ნათესავს და ახლობელს, პოეტ ანტონ გაგუას მოვყევი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში დათო ბაძაღუასთან. მაშინ აქაურობა ძალიან გაპარტახებული იყო, ამ მხრივაც ძალიან ბევრი გააკეთა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიას თანადგომით. ახლა აქაურობას ვერ იცნობ, შეიქმნა საგამოფენო დარბაზი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა და აფხაზეთის საგუნდო კაპელას სარეპეტიციო დარბაზები და ა.შ. დღითიდღე სახეს იცვლის, ლამაზდება აქაურობა. მაშინ კი, როგორც გითხარით, ბევრი მიტოვებული ოთახი იყო და ვიფიქრე, იქნებ, აქ მომცენ ერთი ოთახი, რომელიც სახელოსნოდ გამომადგება-მეთქი. ასეთი რამ სხვა დროს არასოდეს გამიკეთებია. ახლა კი ბატონ დიმასთან შევედი, გავეცანი და ჩემი სურვილი მოკრძალებულად გავუზიარე.

საქართველოში რომ ვბრუნდებოდი, ყოველთვის თან მსდევდა აზრი, რა გინდა შენ, ევროპიდან რომ ჩამოდიხარ, რის გაკეთებას აპირებ? თუმცა ვიცოდი, რომ, ერთ-ერთი თემა, რომელზეც მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებდი, კოლხეთის თემა იქნებოდა. ბატონ დიმასთან, რასაკვირველია, ამაზეც ვისაუბრე. ძალიან მალე ხვდება ადამიანი, ვისთან საუბრობს და რა ენაზე. შეიძლება, ორივე ქართულ ენაზე საუბრობდეს, მაგრამ ერთმანეთის არ ესმოდეთ. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთმანეთის ენა კარგად გვესმოდა. მერე როცა ნახა ჩემი ნამუშევრები, მისთვის უკვე გასაგები გახდა, რომ ევროპაში მოღვაწე კაცი ერთია, მაგრამ ეს კა ცი ქართულ ენაზე რომ საუბრობს, ეს მეორე... და მე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში გამიჩნდა სახელოსნო, ასე ვთქვათ, „ჩემი კერა“. როდესაც გაქვს კერა, სადაც შეგიძლია შენი სათქმელი თქვა, ამაზე დი დი ბედნიერება არ არსებობს. შეიძლება, ვერც დედამ, ვერც მამამ შეგიქმნას ამგვარი პირობები. ეს უკვე ღვთის ნებაც არის.

დაახლოებით ორ წელიწადში (2015 წელს), ჩემი იუბილისთვის, მე შევძელი, აქ შექმნილი ნაწარმოებები, ხელოვნების მუზეუმში გამომეფინა. შემდეგ უკვე ძირითადად სწორედ ამ ნამუშევრებისგან შემეკრა და გამომეცა ალბომი „მეტამორფოზი“. ყოველივე ეს არის მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება ადამიანი სიტყვით და არა საქმით დადგეს ხელოვანის თუ ხელოვნების გვერდით და შეაშველოს ხელი მის განვითარებას.

მოგვიანებით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში დაწყებული აღმშენებლობის პროცესი გაგრძელდა, მოვლენებმა მე და დათო გაგვაერთიანა და ისევ ბატონი დიმას ხელშეწყობით აქ აღმოვჩნდით. ახლა ვფიქრობ, წარმოუდგენელიც კი იყო, რომ ეს ასე არ მომხდარიყო. დანარჩენს დათო იტყვის.

დათო ბაძაღუა, მხატვარი:

- როდესაც გადაწყდა, რომ მე და ამირანს ერთ სახელოსნოში უნდა დაგვედო ბინა, ჩვენ - ორივენი დიდხანს ვეძებდით სახელს, რა დაგვერქმია მისთვის. ვეძებეთ, ვეძებეთ და უცებ მოვიდა ფრაზა: 2-ART, რაც ორივეს მოგვეწონა. ჩვენ სხვადასხვა თაობისა და ხედვის მხატვრები ვართ. ამით ისე ვავსებთ ერთმანეთს, რომ ხან ამირანი ხდება უმცროსი და მე - უფროსი და ხანაც, პირიქით.

ამირანის აქ ყოფნით, თუ შეიძლება ასე უხეშად ითქვას, ორივე მხარემ იხეირა: როგორც თავადაც აღნიშნა, მან აქ, ჩვენი სამინისტროს წიაღში შეძლო ამდენი საინტერესო ნამუშევრის შექმნა და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. მეორე მხარე ჩვენ ვართ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, აფხაზეთის საზოგადოება, პირადად მე, რომელმაც ბევრი ვისწავლე მისგან.

გარდა ამისა, ამირანმა აფხაზეთის მხატვრებში გარკვეული ხალისი, ახალი ფერი და სათქმელი, ინტერესი შემოიტანა... აქ ბევრი ადამიანი მოდის, მათ შორის მხატვრებიც და აქედან ბედნიერი თვალებით მიდიან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ზაფხულს გვსტურობდა აჭარის 30 მხატვარი, რომლებმაც ეს ხმამაღლა აღნიშნეს კიდეც. აღფრთოვანებულები წავიდნენ, მერე აჭარაში მიგვიწვიეს და ღირსეულად გვიმასპინძლეს, აფხაზეთის სხვა მხატვრებთან ერთად.

ამირანი დიდი მხატვარია. გავა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ისტორია იმასაც იტყვის, რომ ამირანის ალბომი „მეტამორფოზი“ და უამრავი სხვა ნამუშევარი სწორედ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წიაღში შეიქმნა. როცა მომავლიდან წარსულში გამოვიხედავთ, ამას ყველანი უფრო ნათლად დავინახავთ.

რედაქტორი ნატო კორსანტია
ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი